პროლეტარიანებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 15 (19756) კვირა, 18 იანვარი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა „მშრომელთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის სკკპ კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის მუშაობის“ საკითხი.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ კრასნოიარსკის მხარეში წარმოების განვითარება მყარ რიგ საწარმოებში წარმატებით ეხამება სოციალური სფეროს ობიექტების გაფართოებას, რეკონსტრუქციასა და მოდერნიზაციას. ნორილსკის ა. პ. ზავენიაგინის სახელობის სამთო-მეტალურგიულ კომბინატში, კრასნოიარსკის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში, ხაკასიის მეფრინველეობის ფაბრიკაში, ოქტომბრის 60 წლისთავის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში და ზოგიერთ სხვა საწარმოში შეიქმნა შრომის, ყოფა-ცხოვრების, სწავლისა და დასვენების სათანადო სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობები.

ამავე დროს, როგორც ეკონომიკის განვითარების ანალიზი ცხადყოფს, მხარეში შეიმჩნევა სოციალური ინფრასტრუქტურის ქრონიკული ჩამორჩენა სწრაფადგანვითარებადი სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებისაგან. ძირითადი სამრეწველო-საწარმოო ფონდების დაძაბულობით, კაპიტალური მშენებლობის მოცულობებით მხარეს წამყვანი ადგილი უკავია რუსეთის ფედერაციაში, ხოლო მშრომელთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობებით იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო რესპუბლიკურ დონეს. მზარდი განსხვავება საწარმოო და სოციალურ სფეროებს შორის არ იძლევა აქ შექმნილი პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობას. შედეგად წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი მრეწველობაში, ვერ შესრულდა გასული ხუთწლედის დავალებანი ამ მაჩვენებლების მიხედვით. გაუარესდა ძირითადი ფონდების გამოყენება.

სკკპ სამხარეო კომიტეტის ბიუროს, სამხარეო აღმასკომმა, მხარის, ქალაქებისა და რაიონების პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანოებმა არ გამალეს ქმედითი ბრძოლა საბინაო და კულტურული მშენებლობის გეგმების შესრულებისათვის. მრავალი მოქალაქე საჭიროებს კეთილმოწყობილ საცხოვრებელს.

კვლავ მწვავედ დგას ბაღებსა და ბაგა-ბაღებში ბავშვების მოწყობის პრობლემა. სუსტად არის განვითარებული სამშობიარო სახლების, ბავშვთა სპეციალიზებული საავადმყოფოების ქსელი. მოუღელია კლუბების, კულტურის სახლების მნიშვნელოვანი ნაწილი. საგრძნობია ჭაბრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ნაკლებობა. ბევრი გაერთიანების, საწარმოსა და ორგანიზაციის მშრომელთა საწარმოო-საყოფაცხოვრებო პირობები არადამაკმაყოფილებელია.

სკკპ სამხარეო კომიტეტმა და სამხარეო აღმასკომმა არ განახორციელეს ამომწურავი ღონისძიებები სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებისათვის ადგილობრივი რეზერვების მაქსიმალური გამოყენების მეშვეობით. შემცირდა მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება მოქალაქეთა პირად მეურნეობებში. ყოველ მესამე საწარმოს არა აქვს საკუთარი დამხმარე მეურნეობა,

მშრომელთა მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო მომსახურება. მთელ რიგ ადგილებში, და უწინარესად ახლად ათვისებულ და სოფლის რაიონებში, ხდება შეფერხებები საკმაო ასორტიმენტის საქონლით ვაჭრობაში, დაბალია მომსახურების კულტურა. არ კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნილება ბევრი სახეობის ფასიან მომსახურებაზე. მრეწველობის საწარმოთა მესამედი ჯერ კიდევ არ უშვებს სახალხო მოხმარების საქონელს.

ადამიანის ფაქტორის როლის შეუფასებლობა, ადამიანების ცხოვრებისა და ყოფის მოუგვარებლობა, უყურადღებობა მშრომელთა ყოველდღიური საჭიროებებისა და მოთხოვნებისადმი იწვევს მოსახლეობის გადიდებულ მიგრაციას და კადრების დენადობას, აძნელებს სტაბილური შრომითი კოლექტივების ფორმირებას. განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობა შეიქმნა კრასნოიარსკის ავტოსატრაქტორო ელექტრომოწყობილობისა და კარბიურატორების ქარხნის, საიანის ტერიტორიულ-სამრეწველო კომპლექსის ობიექტებზე, ხე-ტყის მრეწველობის საწარმოებში.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დიდი ნაკლოვანებების დაძლევას აფერხებს სამშენებლო კომპლექსის სერიოზული ჩამორჩენა. შესაბამისმა სამინისტროებმა, პარტიის სამხარეო კომიტეტმა და სამხარეო აღმასკომმა არ განახორციელეს დროული და გადამჭრელი ღონისძიებები სამშენებლო ორგანიზაციათა სიმძლავრეების გაძლიერებისა და საწარმოო ბაზის რეკონსტრუქციისათვის. ბოლო ხუთწლედის განმავლობაში არ გადიდებულა იმ სამუშაოთა მოცულობა, რომლებსაც ძირითადი ორგანიზაციები ასრულებენ.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სკკპ კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტისა და მისი პირველი მდივნის ამხ. პ. ს. ფედორკოს, სამხარეო აღმასკომისა და მისი თავჯდომარის ამხ. ვ. ვ. პლოსოვის ყურადღება მიაპყრო სერიოზულ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელობაში მშრომელთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის სამხარეო კომიტეტს, პარტიულ კომიტეტებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებს მოსთხოვა ძირეულად შეცვალონ დამოკიდებულება სოციალური სფეროს განვითარებისადმი, გაუძლიერონ კონტროლი მხარის საწარმოო ძალების კომპლექსური განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულებას. განახორციელონ მშრომელთათვის სათანადო სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის ღონისძიებები, რაც წარმოების ეფექტიანობის გადიდებაში მკვეთრი გარდატეხისა და პიროვნების ყოველმხრივი განვითარების გადამწყვეტი ფაქტორია.

სოციალური სფეროს დაჩქარებული განვითარების საფუძველზე მათ თანამიმდევრულად და მიზანდასახულად უნდა შეამცირონ გაუთართლებელი მიგრაცია და კადრების დენადობა, უზრუნველყონ სტაბილური, დიდად ორგანიზებული შრომითი კოლექტივების ფორმირება, შექმნილი მძლავრი საწარმოო პოტენციალის უკუგების მნიშვნელოვანი გადიდება. დარაზმონ შრომითი კოლექტივები საამისოდ, რომ დაძლიონ ჩამორჩენა სოციალური ამოცანების განხორციელებაში, უთუოდ შეასრულონ საგეგმო დავალებები და არსებითად გაზარდონ საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-საყოფაცხოვრებო და ბუნებისდაცვითი ობიექტების შშენებლობის მოცულობა, მეტადრე აქტიური სამეურნეო ათვისების რაიონებში. უზრუნველყონ კომპლექსურობა და შეთანხმებულობა საწარმოო და სოციალური სფეროების განვითარებაში.

მხარის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, სამეურნეო ხელმძღვანელებს წინადადება მიეცათ უფრო ფართოდ გაავრცელონ გორკის ავტოქარხნის, ვოლგის საავტომობილო ქარხნის გაერთიანების კოლექტივების ინიციატივები, მოწინავე საწარმოთა საკუთარი გამოცდილება სოციალური პრობლემების დაჩქარებული გადაჭრის დამატებით შესაძლებლობათა გამოყენებაში, მათ შორის — საწარმოთა და გაერთიანებათა მიერ ბინებისა და სოციალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების შშენებლობის სამეურნეო ხერხის გავრცელებაში, ახალგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსების შშენებლობაში, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობაში შრომითი კოლექტივების ჩაბმაში.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა გაიზარდოს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების პასუხისმგებლობა მათდამი დაქვემდებარებული ტერიტორიების კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის, ქალაქების, მუშათა დაბებისა და სოფლების განაშენიანების ხარისხისა და არქიტექტურული სახის გაუმჯობესებისათვის, სახლებისა და სხვა ობიექტების მიღების საქმეში მკაცრი წესრიგის დამყარებისათვის. ამ მუშაობაში უფრო ფართოდ უნდა ჩაებან მუდმივი კომისიები, დეპუტატთა პოსტები და ჯგუფები. უნდა აღიკვეთოს სამეურნეო ხელმძღვანელთა ყველა ცდა გამორიცხონ გეგმებიდან სოციალურ-კულტურული და კომუნალური ობიექტების აგება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოციალურ-საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის ობიექტების შშენებლობისა და მოწესრიგებულობის გაუმჯობესებისათვის საწარმოებისა და ორგანიზაციების — მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად — მუშაობის კოორდინაციას.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის სამხარეო კომიტეტს და სამხარეო აღმასკომს დაავალა შეიმუშაონ და განახორციელონ დამატებითი ღონისძიებები, რომელთა მიზანია ადგილობრივი რესურსების ხარჯზე მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით მომარაგების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება: სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მოსახლეობისა და საწარმოების დამხმარე მეურნეობებში, სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოო და დამამზადებელი საქმიანობის გაფართოება. უზრუნველყონ საქონელსა და ფასიან მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნილების უფრო სრული დაკმაყოფილება, სავაჭრო, სამედიცინო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების, საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის ძირეული გაუმჯობესება.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სკკპ სამხარეო კომიტეტს, პარტიის საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს დაავალა აამაღლონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონე მომსახურების სფეროს შრომითის კოლექტივებში. გახანმტკიცონ ხელმძღვანელი თანამდებობები ინიციატივიანი, კომპეტენტური კადრებით. მათი უმთავრესი მეცადინეობა მოახმარონ აქ შექმნილი მატერიალური ბაზის ეფექტიან გამოყენებას, მის ტექნიკურ რეკონსტრუქციასა და მოდერნიზაციას, შრომის ხარისხის გაუმჯობესებას, ამ სფეროს მუშაკების საბინაო, საყოფაცხოვრებო და დასვენების, ზნეობრივი აღზრდის პირობების გაუმჯობესებას.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს იმ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, რომლებიც კრასნოიარსკის მხარის მინერალური და ნედლეული

(დასასრული მე-2 გვ.)

თათბირი გზათა სამინისტროში

16 იანვარს მოსკოვში გზათა სამინისტროში სელექტორული კავშირით გაიმართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა ქვეყნის რკინიგზის ტრანსპორტისა და სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის მუშაობის საკითხებს. თათბირის მონაწილეებად ადგილებზე მიიწვიეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, სატრანსპორტო, სამრეწველო, სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელები.

თათბირს საქმის მდგომარეობა მოახსენეს რკინიგზის უფროსებმა: დონეცკისა — ა. მ. კოუშკომ, დნეპროპეტროვსკისა — ვ. მ. სკორცოვმა, მოსკოვისა — ი. ლ. პარისტომ, ქვეყნის ზოგიერთი დიდი სამრეწველო საწარმოს ხელმძღვანელებმა.

თათბირზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი. მან თქვა, რომ ეს თათბირი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის დავალებით ეწყობა. მისი მოწყობის საჭიროება იმან გამოიწვია, რომ უჩვეულო სიცივის, დიდთოვლობისა და ცენტრში თუ ადგილებზე ეკონომიკის მართვაში არსებული ნაკლოვანებების გამო სერიოზულად გართულდა ვითარება სახალხო მეურნეობაში. მეიქმნა იმ პოზიციების დამობილ რეალური საშიშროება, რომლებიც ეკონომიკაშია მოპოვებული პარტიისა და ხალხის თავდადებული შრომით 1986 წელს.

წლევანდელ წელს, ხაზგასმით აღინიშნა შემდეგ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ეს არის დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის წელი, ხუთწლედის მეორე წელი, როცა მთელი რიგი სამრეწველო სამინისტროების, დიდი გაერთიანებების საწარმოებში ამოქმედდა სრული სოციალისტური სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსების ბერკეტები.

სამწუხაროდ, ჩვენ ეს წელი სუსტად დავიწყეთ, დავიწყეთ, ხატოვნად რომ ვთქვათ, იმის „ხარჯზე ცხოვრება“, რაც შარშან დაგვროვეთ. მაგალითად, 1986 წელს პოზიტიური ძვრები მოხდა რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობაში, რომელმაც ტვირთზიდვის გეგმა 81 მილიონი ტონის გადაჭარბებით შეასრულა. მიუხედავად ამისა, როგორც გამოირკვა, ტრანსპორტს არ შეუქმნია სიმტკიცის აუცილებელი ვარაგი მიმდინარე წლის იანვარში კვლავ წარმოიქმნა ტვირთზიდვის დავალიანება. თავი იჩინა ზამთრისათვის მზადების ხარვეზებმა ეკონომიკის, კომუნალური მეურნეობის მთელ რიგ სხვა დარგებში, კერძოდ, მეტალურგიასა და ქვანახშირის მრეწველობაში.

ზოგ-ზოგგები მთელი ამ ხარვეზების ახსნას დიდთოვლობით და ძლიერი ყინვით ცდილობენ. მაგრამ საქმე მარტო ეს არ არის, ამასთან დაკავშირებით დაასახელეს მენავთობეების, გაზის მრეწველობის მუშაკების, ენერგეტიკოსების, ქვანახშირის მრეწველობის მუშაკების კოლექტივები, რომლებიც ახლანდელ ურთულეს პირობებშიც წარმატებით ასრულებენ საწარმოო დავალებებს. მათი მაგალითი, მათი გამოცდილება ფართოდ უნდა გამოიყენონ.

თათბირზე აღინიშნა, რომ მთელი რიგი ქალაქების ქსელებში და ენერგობიექტებზე ავარიები მოხდა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ პრინციპიულად შეაფასა გორკისა და მურმანსკის ოლქების მოსახლეობის თბომომარაგების შეფერხების ფაქტები, მკაცრად დასაჯა ბრალეულნი. ეს ფაქტები მიჩნეულ იქნა ცალკეული ხელმძღვანელების მიერ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის უხეში დარღვევის, თავიანთი მოვალეობების უპასუხისმგებლო შესრულების, ადამიანებისადმი უსულგულო დამოკიდებულების შედეგად.

ასეთი შემთხვევები, განაცხადა ი. კ. ლიგაჩოვმა, სრულიად შეუწყნარებელია, შეუთავსებელია ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნასთან; ვინაიდან გარდაქმნა თავისი არსით ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას გულისხმობს. პარტიულმა კომიტეტებმა, სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა მკაცრი კონტროლი უნდა დაუწესონ ადამიანების ცხოვრების უზრუნველყოფის, სითბოთი და ელექტროენერგიით მომარაგების საკითხებს. დაუშვებელია, რომ მათ პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ ყოველი გადმოუცელი თუ დაუტვირთავი ვაგონისათვის.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ჰ. ა. ალიევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ნ. ვ. ტალიზინი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. პ. რაზუმოვსკი.

(სკდესი).

რკინიგზელთა გადაუდებელი ამოცანები

საბჭოთა კავშირის რკინიგზის მაგისტრალებზე უამინდობის გამო შექმნილ ეკსტრემალურ ვითარებას ვერც ჩვენი რესპუბლიკა ასცდა. საქართველოს ტერიტორიაზე ამერიკავკასიის რკინიგზის დატვირთვის გეგმის შესრულებას 280 ათასი ტონა დააკლდა. ვაგონების ბრუნვა დღე-ღამეზე მეტი ხნით შენელდა, ესეიგი, ათასობით ვაგონი, პრაქტიკულად, ამოვარდნილია მუშაობის ნორმალური რეჟიმიდან.

რესპუბლიკის ფოლადის გზებზე წესრიგის ოპერატიული დამყარების საკითხები განიხილა ამერიკავკასიის რკინიგზის სამმართველოში მოწყობილმა თათბირმა, რომელშიც სამინისტროების, უწყებების, დიდი საწარმოებისა და სატრანსპორტო ორგანიზაციების ხელმძღვანელები მონაწილეობდნენ.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

საყოველთაო მძიმე მდგომარეობამ გამოავლინა და გაამწვავა ორგანიზაციული ხარვეზები რკინიგზელებისა და მათი მომჯანაგების მუშაობაში. ასეთი შეუთანხმებლობა, შეუწყობლობა უმოკლეს ვადებში უნდა აღმოფხვრას. თავი იჩინა ზამთრის პირობებში მუშობისათვის ტრანსპორტიანთა მომზადების დაბალმა დონემაც.

ტვირთიანი ვაგონების შეფერხება დაუყოვნებლივ ახდენს გავლენას მრავალი სამრეწველო საწარმოს მუშაობაზე. განსაკუთრებულ ზარალს იწვევს მაზუთით, სხვა სახის სათბობით დატვირთული შემადგენლობების დაყოვნება, რასაც მოჰყვება ენერგეტიკული ბალანსის დარღვევა და ელექტრო და სითბური ენერგიით მომხმარებელთა უზრუნველყოფის გაუარესება.

თათბირზე სერიოზულად გააკრიტიკეს შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, რომლებიც ცარიელ ვაგონებს მისასელელ გზებზე აყოვნებენ. მაგალითად, მოსულ ცარიელ ვაგონებში დასატვირთავად 24 ათასი ტონა ქვანახშირის დროული მიწოდება ვერ უზრუნველყო საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირმა“ (გენერალური დირექტორი — ბ. სანიკიძე), რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ (დირექტორი — დ. ქობაკაშვილი) დასტვირთავად ვერ წარადგინა 10,5 ათასი ტონა კირქვა. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვამ 220 ვაგონის განაცხადი გააკეთა ხილისათვის, მაგრამ მხოლოდ ასი მათგანი დატვირთა...

ბევრი ხარვეზია თვით რკინიგზელების მუშაობაშიც. მაგალითად, არასაკმარისად არის ორგანიზებული ცარიელი და დატვირთული ვაგონების გაცვლა, რაც აფერხებს ადრესატების მიერ ტვირთის დროულ მიღებას. მაგალითად, რკინიგზამ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს 733 ვაგონი დააკლო. სულ კი რკინიგზელთა მიზეზით რესპუბლიკაში ტვირთდაკლება 140 ათას ტონას შეადგენს.

ახლა რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა წინაშე დგას გადაუდებელი ამოცანები: მზად იყვნენ ვაგონების დაჩქარებული მიწოდებისათვის, რიტმულად, დროულად აწარმოონ დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები.

თათბირმა დასახა მთელ სატრანსპორტო კონვეიერზე წესრიგისა და დისციპლინის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიებები და ამასთან მკაცრად გაიფიქრეს რკინიგზის ტრანსპორტის შეუფერხებელ მუშაობასთან დაკავშირებული ყველა რანგის ხელმძღვანელები, რომ მათ პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ ყოველი გადმოუცელი თუ დაუტვირთავი ვაგონისათვის.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანჩაბაძე, კ. ა. კოჩეტოვი, გ. დ. მგელაძე, ო. ე. ჩერქეზია, გ. გ. გუმბარიძე.

* * *

რესპუბლიკის ტერიტორიაზე ვაგონების ზენორმატიული მოცდენის ფაქტების გამო საქართველოს სსრ პროკურატურამ შესაბამისი კანონის დარღვევის დაუშვებლობის შესახებ წერილობითი გაფრთხილებები დაუგზავნა საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილეს ვ. გაბაშვილს, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილეს ა. ჩხეტიას, საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ზ. თედეევს, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის აგრომრეწვტრანსის გაერთიანების თავმჯდომარეს რ. ღვინჭილიას, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სატრანსპორტო სამმართველოს უფროსს დ. შენგელიას, ცეკავშირის სატრანსპორტო სამმართველოს უფროსს თ. ბუიელაშვილს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ტრანსპორტისა და ტარის განყოფილების უფროსს ნ. გიგანს. (საქინფორმი).

იზრდება

ᲥᲣᲘᲑᲘᲨᲔᲕᲘ. (საკ. კორ.). ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნო (უფროსი — ლ. გამყრელიძე) ერთ-ერთი პირველია ქალაქის სამთო საწარმოთა შორის, რომელიც წლის დასაწყისიდან ასრულებს პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო დავალებას. აქ სწრაფად აღმოფხვრეს შეფერხებანი. დღეისათვის უკვე რეალიზებულია 16 ათასი მანეთის პროდუქცია.

იანვრის პირველი დღეები აქ იმით აღინიშნა, რომ სახელოსნოს კოლექტივი პირველი შეუდგა რესპუბლიკაში სამთო, ქვანახშირის მოსანგრევი კომბაინების შეკეთებას. ერთ-ერთი პირველი შესაკეთებელი კომბაინი აქ ე. მინდელის შახტიდან მოიტანეს. აშ რთული სამთო მანქანის შეკეთება უკვე დაიწყო საზეინკლო მექანიკურმა უბანმა. საუკეთესო ზეინკლები ჟ. ჯანტურიძე და თ. ფოფხაძე დამკვრელურად შრომობენ, ცდილობენ, რომ კომბაინი რაც შეიძლება შემჭიდროებულ ვადებში შეაკეთონ და დაუბრუნონ შახტს, რათა არ შეფერხდეს ქვანახშირის ამოღება.

სახელოსნოს კოლექტივი დღითი დღე აძლიერებს მუშაობის ტემპს, იბრძვის იმისათვის, რომ ახალი საწარმოო მიღწევებით აღნიშნოს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავი.

Თ. ᲪᲘᲠᲔᲙᲘᲫᲔ.

ᲬᲕᲔᲚᲐᲓᲦᲑᲐᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲐᲜ

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ რაიონის ვაზისუბნის კოლმეურნეობას შარშან ამ დროს მეცხოველეობის დარგის განვითარების მხრივ დასაკვეხი არაფერი ჰქონდა, წლითიწლობით იზრდებოდა პროდუქციის თვითღირებულება. შარშან აქ მეცხოველეობის ფერმები იჯარული შრომის მეთოდზე გადავიდნენ. ბრიგადას სათავეში ჩაუდგა ვაჟა ირემაშვილი. 10 მწველავსა და 4 მომვლელ-მწყემსს გაუპირავნეს 460 სული პირუტყვი.

საიჯარო ბრიგადის წევრებმა, უწინარესად, იზრუნეს პირუტყვის საკვები ბაზის განმტკიცებისათვის, სანიმუშოდ მოუარეს საქონელს. 11 თვეში წლიური გეგმით გათვალისწინებული 417 ტონის ნაცვლად მოწველილი რძის საერთო რაოდენობამ 450 ტონა შეადგინა, ამას დაემატა 32 ტონა ადგილ-ადგილ 32 ტონა დაემატა და ერთ სულზე ნაწველმა ვალდებულებით ნაკისრი 3 ათასი კილოგრამის ნაცვლად 3400 კილოგრამს გადააჭარბა. ამასთანავე ცენტნერი რძის თვითღირებულება 6 მანეთით შემცირდა.

ამ წარმატებებს ბრიგადის წევრები მწველავ-ოპერატორი, მწველავთა საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებული როსტომ წიკლაური, მწველავ-ოპერატორები რეზო და თენგიზ წიკლაურები, ვალერი ჯავახიშვილი და სხვები მუშაობის საიჯარო წესს უმაღლიან და დარწმუნებული არიან, რომ ეს მეთოდი მათ შესაძლებლობას მისცემს მეცხოველეობა გადააქციონ რენტაბელურ დარგად. ისინი პირობას იძლევიან, რომ მეთორმეტე ხუთწლედის მეორე წელს კიდევ უფრო გაზრდიან წველადობას, ერთ სულ ძროხაზე ჰონაწველს 4000 კილოგრამს მოუახლოვებენ.

Დ. ᲒᲔᲠᲒᲘᲣᲨᲕᲘᲚᲘ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა რესპუბლიკის პარტიული კომიტეტების, იდეოლოგიური სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების, სამეცნიერო დაწესებულებების, შემოქმედებითი კავშირების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელმძღვანელთა თათბირი, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის მზადების ამოცანებს.

თათბირზე მოისმინეს მათი ინფორმაციები დასახული მასობრივ-პოლიტიკური, იდეოლოგიური, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების, შემოქმედებითი გეგმების შესახებ, რომლებიც ოლრსშესანიშნავ თარიღს უკავშირდება. თათბირის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ოქტომბრის იუბილესათვის მზადება მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს არა მარტო მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიული გამოცდილების, თაობათა მემკვიდრეობითობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ფართო და დამჯერებელი პროპაგანდის აქტუალური ამოცანებს, არამედ პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მუშაობის სტილისა და მეთოდების გარდაქმნის, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავების კონკრეტულ პრობლემათა გადაჭრასაც.

რესპუბლიკის იდეოლოგიური სფეროს მუშაკებს დაესახათ ამოცანა მაქსიმალურად გამოიყენონ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მზადება იმისათვის, რომ გაძლიერონ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ავანგარდული როლი, გაზარდონ ადამიანების, კოლექტივების პოლიტიკური და შრომითი აქტიურობა, დარაზმონ ისინი სამეურნეო მექანიზმისა და მართვის სრულყოფის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების, ეროვნებრივი და მატერიალური რესურსების მომჭირნეობის უზრუნველყოფის, დისციპლინის განმტკიცების, ადამიანების ცხოვრების სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების კარდინალური გაუმჯობესების, აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად, აღზარდონ ახალგაზრდობა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით.

თათბირზე განისაზღვრა რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის ორგანიზების მუშაობის ძირითადი მიმართულებები დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის პროპაგანდის, წლის უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენის მომზადებისა და დღესასწაულობის გამოქვეყნების, იმის ყოველმხრივი ჩვენების საქმეში, თუ რა რეალური საქმეებით ეგებებიან საქართველოს მშრომელები იუბილეს. (საქინფორმი).

ᲤᲝᲗᲝᲠᲘᲜ Ლ. ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲫᲘᲡ სახელობის გემთშენებელ-გემთსაშენებელი ქარხნის გემმშენებლებზე მოავრდება წყალქვეშაფრთიანი გემის — „გორკის ცენტრალური საკონსტრუქტორო ბიუროს სპეციალისტების მიერ დაპროექტებული ახალი სამგზავრო თბომავლის „ალბატროსის“ მისაბმელი და სასვლო გამოცდებისათვის მზადება.

„ალბატროსი“ საზღვაო სამგზავრო ხაზებზე შეცვლის თავის წინამორბედებს — თბომავლებს „კომეტასა“ და „კოლხეთს“. იგი გამოირჩევა გადიდებული სანავიგაციო თვისებებით, კომფორტით, საიმედოობით. „კოლხეთისაგან“ განსხვავებით, „ალბატროსი“ აღჭურვილია თანამედროვე ძალური დანადგარით, სიმბოთა წარმოების ძრავებისა და მოძრაობის მართვის ავტომატური სისტემებით.

წყალქვეშაფრთიანი მეთაური გემის საცდელი გამოცდის შემდეგ ფოთელი გემთმშენებლები შეუდგებიან თბომავალ „ალბატროსის“ სერიულ მშენებლობას შიდასაკავშირო ხაზებზე გასაგზავნად და საექსპორტოდ გასაყიდად.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲜ: გემთმშენებელი ბორის პანაიოტი, ბრიგადირი რომან ეჯიბია, ახალი ტექნიკის განყოფილების უფროსი ბორის გოლოვანენკო და ქარხნის ვეტერანი, გემთმშენებელი ანატოლი ლინკოროვი წყალში ჩასაშვებად ამზადებენ პირველ „ალბატროსს“.

Ბ. ᲡᲝᲙᲝᲚᲝᲕᲘᲡ ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

უკვდავი იდეური მემკვიდრეობა

3. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ იმ ნაშრომების იდეური არსენალში, რომლებიც მშრომელებს ასწავლიან როგორ იცხოვრონ, იბრძოლონ და გაიმარჯვონ, მნიშვნელოვანი წვლილია ქართულ ენაზე და სსრ კავშირის სხვა ხალხების ენებზე რევოლუციის ბელადის, პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა ათტომეულის (11 წიგნი) თარგმნა და გამოცემა, რასაც ახორციელებენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი და მისი ადგილობრივი ფილიალები.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ უკვე გამოუშვა ქართულ ენაზე ვ. ი. ლენინის რჩეულ ნაწარმოებთა ათტომეულის პირველი ტომი. ამ დღეებში გამოსაცემად გადაეცა მესამე ტომი, რომელიც 1901-1904 წლების პერიოდს მოიცავს. მასში გამოქვეყნებული იქნება ვ. ი. ლენინის ნაწარმოებები: „რით დავიწყოთ?“, „რა ვაკეთოთ“, „რსდმპ პროგრამის პროექტი“, „წერილი ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების შესახებ“, „რუსეთის სოციალ-დემოკრ

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

(დასასრული)

რესურსების ათვისებას ახორციელებენ, დაევალა დაეწესოს საწარმოო და არასაწარმოო მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების პროპორციები ისეთი ანგარიშით, რომ სოციალური სფეროს განვითარება უზრუნველყოფდეს საწარმოო სიმძლავრეთა დროულ ამოქმედებას და ეფექტიან გამოყენებას.

აღინიშნა, რომ სსრ კავშირის ურალისა და ციმბირის მშენებლობის სამინისტრო, ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო, ფერადი მეტალურგიის, ენერგეტიკისა და ელექტროგაზა-ქაღალდის მრეწველობის, მძიმე მანქანათმშენებლობის, ურალ-ციმბირის მშენებლობისა და სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები, რათა მეთორმეტე ხუთწლედის დამლევისათვის ნორმატივების მიხედვით უზრუნველყონ მხარის მშრომელები ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო სამსახურის საწარმოებით, მეტადრე ახალშენებლობათა რაიონში.

შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების პარტიული კომიტეტების ყურადღება მიეპყრო იმას, რომ უნდა გაუძლიერონ კონტროლი ცენტრალური აპარატის მუშაობას კრასნოიარსკის მხარის საწარმოო ძალების კომპლექსური განვითარების, მშრომელთა სოციალურ-საყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ გულდასმით გააანალიზონ საქმის ვითარება სოციალურ-საყოფაცხოვრებო სფეროში და განახორციელონ მისი წარმატებული განვითარების კონკრეტული ღონისძიებანი. აამაღლონ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა მშრომელთა დიდმშრომებლური შრომის, ჯანსაღი ყოფისა და შინაარსიანი დასვენების პირობების შექმნისათვის. გადაწყვეტონ სოციალური საკითხები ფართო დემოკრატიულ საფუძველზე მშრომელთა თვითმმართველობის ორგანოების აზრზე დაყრდნობით, აქტიურად შეასხან ხორცი სოციალური სამართლიანობის პრინციპებს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს — პრესას, ტელევიზიასა და რადიოს რეკომენდაცია მიეცათ საფუძვლიანად წარმოაჩინონ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოების საქმიანობა მშრომელთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, მკაცრად გააკრიტიკონ ის ხელმძღვანელები, რომლებიც არ უზრუნველყოფენ სოციალური განვითარების გეგმების შესრულებას.

ᲓᲐᲪᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲐ

მშრომელი კაცის ინტერესებისათვის

გვესაუბრება საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი თ. დავითაშვილი

დიდი ამოცანები უნდა გადაწყვიტოს წლეულს და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კოლექტივებმა. ავტოტრანსპორტის ეფექტიანობის გადიდებისათვის შარშან გარკვეული ნაბიჯები გადადგა და ამით საფუძველი ჩაეყარა სამომავლო პროგრამის უკეთ განხორციელებას. მთელი რიგი ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით სამინისტროს შედეგები არცთუ ურიგოა. უფრო მეტიც, აქ დანერგილი ზოგიერთი სიახლე და მიმდინარე ექსპერიმენტები მოიწონეს სადორეკტივო ორგანოებმა. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ამ მხრივ შეძენილი გამოცდილებით დაინტერესდნენ ქვეყნის ავტოსატრანსპორტო საწარმოთა წარმომადგენლები. ისინი აქ გამოცდილების შესასწავლად ჩამოდიან.

ეს სწორია, მაგრამ მართალია ისიც, რომ სამინისტროს სისტემაში ჯერ კიდევ უამრავი ნაკლია. როგორც ცნობილია, შარშან ოქტომბერში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პიროვნმ განიხილა სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნათა მიხედვით საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კოლეგიის წევრი კომუნისტების მუშაობის სტილისა და მეთოდების საკითხი. აღინიშნა, რომ გარდაქმნა სამინისტროს სისტემაში ზერელედ ხორციელდება, არ ეხება სატრანსპორტო საწარმოთა მუშაობაში არსებულ დიდ ნაკლოვანებებს, სოციალისტური კონნიერების დარღვევებს და სხვა ნეგატიურ მოვლენებს.

სერიოზული ხარვეზებია სამინისტროს ხელმძღვანელობის და კოლეგიის წევრთა საქმიანობაში, არ არის სისტემურობა, მომთხოვნელობა, კონტროლი იდებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი, რასაც მოჰყვა კადრებთან მუშაობის, მგზავრთა მომსახურების კულტურის დაბალი დონე, სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მოვლისა და ექსპლოატაციის პირობების უხეში დარღვევები.

ბიურომ მოსთხოვა რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრს თ. დავითაშვილს განახორციელოს ამომწურავი ღონისძიებები კოლეგიის საქმიანობაში სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ამ დოკუმენტის მიღებიდან უკვე თითქმის სამი თვე გავიდა. გაზეთი „კომუნისტის“ რედაქცია, ცხადია, დაინტერესდა, თუ როგორ სრულდება ზემოხსენებული დადგენილება და რამდენიმე შეკითხვით მიმართა საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრს თ. დავითაშვილს.

როგორ აღიქვით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება?

როგორც ძირითადი სამოქმედო პროგრამა ჩვენი მუშაობის მიმდინარე ეტაპზე. დადგენილება სრულიად ობიექტური და დროული იყო. საქმის ასეთი ვითარებისადმი შერიგება ახლა, როცა გარდაქმნა ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარეობს, ყოვლად შეუწყნარებელია. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და მართვის პროგრესული მეთოდების დანერგვასთან ერთად ყველაფერს ვღონობთ იმისათვის, რომ აღიკვეთოს მანკიერი მოვლენები, დრომოჯმული მეთოდები და გადმონაშთები. აღარ ვინდობთ იმათ, ვინც ლაფში სვრის სამინისტროს სისტემის კოლექტივების, პატიოსანი მშრომელი კაცის ღირსებას. ვავლენთ და თავიდან ვიშორებთ წამგლეჯელებს, გამომძალველებს, მომხვეჭელებს. მექრთამეებს. შარშან ივლისში გამართულ პარტიულ-საეურონეო აქტივის კრებაზე ამბ. ჯ. ი. პატიაშვილმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ დარღვევებს, უკონტროლობას, დაუსჯელობისა და წყაროების ვითარებაში მძღოლებს უწევთ ქრთამის მიცემა ყველაფრისათვის — სამუშაოზე მოწყობისათვის, ახალი მანქანის მიღებისათვის; ისინი თავიანთი სახსრებით იძენენ დეფიციტურ სათადარიგო ნაწილებს. ისიც ითქვა, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობა და მისი კოლეგია ზოგჯერ საქმის ვითარების ფორმალურ განხილვას სჯერდებიან და პრინციპულ შეფასებას არ აძლევენ ნეგატიურ მოვლენებს.

ეს კრიტიკული შენიშვნა არასოდეს არც ერთ წუთს არ გვავიწყდება, და ვმოქმედებთ. გავიხსენოთ, თუნდაც, ისეთი შემთხვევა, როდესაც თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების საბაზო კონტროლის განყოფილების მუშაკებმა გარკვეული თანხა გამოსძალეს № 3 მსუბუქი ტაქსების საწარმოს მძღოლს. არადა, განა სწორედ მათ არ ევალებათ ამ მხრივ ტრანსპორტზე წესრიგის დამყარება?! გამომძალველებს საკადრისი მეიზღოთ — სამუშაოდან მოიხსნა განყოფილების გამგეც, მაგრამ ჯერ მაინც ვერ ვიტყვით, რომ საქმე დიდად გამოსწორებულიყოს.

ძალზე ცუდად ან საერთოდ არ ებრძოდნენ ნეგატიურ მოვლენებს თბილისის „ტრანსსაჭრობის“ გაერთიანებაში. ჰოდა, მოხდა ის, რაც გარდაუვალი იყო. გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ი. ბაკაშვილმა, ხედავდა რა უკონტროლობას სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მხრივ, უგულებელყო, არაფრად ჩაგდო სამინისტროს პრესტიჟი, მისი ღირსება, და დანაშაულის გზას დაადგა — უხეშად დაარღვია სოციალისტური კანონიერება. ეს იმის შედეგიც არის, რომ შეცდომები იყო და ზოგჯერ ახლაც არის კადრების შერჩევაში.

ხომ შეიძლებოდა თავის დროზე ამ არასახიერნო ფაქტების თავიდან აცილება?

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, სათანადო დონეზე რომ ყოფილიყო კონტროლი, მიზანმიმართული ღონისძიებები განგვეხორციელებინა იმათ წინააღმდეგ, ვინც ჩვენს სისტემაში ჯიბის გასასქელებლად იყენენ მოსულნი. პროფილაქტიკური მუშაობა — აი რა აგვაცილებდა თავიდან დანაშაულს. უკონტროლობა, სუსტი დისციპლინა საშიში მტერია, სამართლიანად აღაშფოთებს. საზოგადოებრიობას. მაქსიმალურად ვცდილობთ აღარ დავუშვათ მსგავსი შეცდომები, ყველაფერს ვღონობთ კონტროლის ნამდვილი გაძლიერებისათვის. არცთუ იშვიათად, ღონისძიებებს აკლდა და, საშუალოდ, ზოგჯერ ახლაც აკლია სათანადო მიზანდასახულობა, კომპეტენტურობა, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და სამეურნეო ხელმძღვანელობის საქმის ერთიანობა. ამ საკითხს პრინციპულ მნიშვნელობას ვანიჭებ, იგი აუცილებლად უნდა მოგვარდეს. მართალია, შეიმეშუშავეთ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის სისტემა, მაგრამ მიმაჩნია, რომ იგი სრულყოფილი არ არის და დასახვეწია. დასახვეწი და დასაზუსტებელია აგრეთვე თანამედროვე პირობებში მინისტრის მოადგილეების, კოლეგიის წევრების, სამინისტროს აპარატის სამმართველოების ხელმძღვანელთა ფუნქციები.

ახლა რაც შეეხება ავტომობილების სათადარიგო ნაწილებით მომარაგებას. ამ საქმეში ობიექტურ მიზეზებთან ერთად ხელს გვაშლის სუბიექტური მიზეზებიც. ჩვენ ვიცით, რომ სიძნელეებს ამ მხრივ საწარმოებში ხელოვნურადაც ქმნიან, რაც მძღოლებს დანაშაულისაკენ უბიძგებს. ამიტომ ახლა ღრმად ვიხედებით მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს საქმიანობაში.

მოსაწესრიგებელია სამინისტროს საწარმოო და ტექნიკური სამსახურების მუშაობა, დასახვეწია მათი ორგანიზაციული სტრუქტურა. კრიტიკულად ვაფასებთ რა ყოველ ნაბიჯს, მიგვაჩნია, რომ არ არის საკმარისი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ტემპი.

მიუხედავად მრავალი სათანადო ღონისძიების განხორციელებისა, მაინც შეიმჩნევა დარღვევები მგზავრთა გადაყვანის საქმეში. ჯერჯერობით არც პირადი გამორჩენის მიზნით სატვირთო ავტოტრანსპორტის გამოყენების შემთხვევებია მთლიანად აღმოფხვრილი.

ზემოხსენებული დადგენილების განუხრელი შესრულებისათვის, როგორც უკვე ვთქვი, შემუშავებულია ღონისძიებათა კომპლექსი. ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ გაძლიერებული ბრძოლა იგი ითვალისწინებს ავტოსატრანსპორტო საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებას, მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების დანერგვას.

რომელი საკითხებია წამოწეული წინა პლანზე?

მოსახლეობის მოთხოვნილებით სრული დაკმაყოფილებისათვის საგრძნობლად იზრდება სატვირთო ტაქსების რიცხვი. მგზავრთა გადაყვანის მოცულობის ზრდასთან ერთად მკვეთრად ამაღლდება მომსახურების კულტურის დონეც. ჩქარდება შიდასაქალაქო, საგარეუბნო და შიდასაიონო სამარშრუტო ქსელების ზრდა. უშრომელი შემოსავლის მოყვარულთა წინააღმდეგ არის მიმართული ახალი საფინანსო გეგმებიც. მეთერთმეტე ხუთწლედში, მაგალითად, ფულადი შემოსავლის საშუალო წლიური ზრდის ტემპმა ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანისას 5,1 პროცენტი შეადგინა, წლეულს ეს მაჩვენებელი გაორკეცებულია. ასევე იქნება ტაქსით მგზავრების გადაყვანისას. ფულადი შემოსავლის საშუალო წლიური ზრდის ტემპმა 3,1 პროცენტიდან 15 პროცენტამდე იმატა. ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში დაგვეხმარება ჩვენი მუშაკების მატერიალური პირობების გაუმჯობესება. გამოვლენილია მესაძლებლობები მატერიალური წახალისების ფონდის „ჯანრთელობა“ და სოციალურ-კულტურული [illegible] ნაო მშენებლობისათვის.

დიდ ღონისძიებებს ვახორციელებთ ავტოსარემონტო საწარმოების მანქანებისა და აგრეგატების რემონტის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე ჩვენ გაგვაკრიტიკეს მისათვის, რომ სრულად არ ვიყენებთ ავტომოსაბმელების შესაძლებლობებს და ამით ზედმეტად ვხარჯავთ საწვავ-საპოხ მასალებს. აედან გამოტანილია სათანადო დასკვნები. ჩვენი ძალებით დავამზადებთ ნახევარმისაბმელებსა და მისაბმელებს, გამოვუშვებთ აგრეთვე 3-ტონიან კონტეინერებს.

ხორციელდება საბურავების შემკეთებელი ქარხნების რეკონსტრუქციაც იმ მიზნით, რომ 45 პროცენტამდე გაიზარდოს მათი წარმოების მოცულობა. შარშან მეოთხე კვარტალში ავითვისეთ სამი ცალი „იკარუს-260“ მარკის ავტობუსის ძარაზე დამონტაჟებული სასადილოს გამოშვება. ისინი კარგ სამსახურს გაუწევენ თბილისის საქალაქო სატრანსპორტო გაერთიანების მძღოლებს ბოლო გაჩერებებზე, შესვენების ფილა. მუშაკები უზრუნველყოფილი იქნებიან ცხელი კერძებით. მომდინარე წლის დამლევამდე კიდევ ორ ასეთ ავტობუს დავამზადებთ.

მომარაგების მთავარი სამმართველო უკვე გადავიდა საწარმოო გაერთიანების ცენტრალიზებულ მომარაგებაზე.

ვნერგავთ ბელორუს რკინიგზელთა მუშაობის პროგრესულ მეთოდს. იხვეწება სამინისტროს აპარატისა და გაერთიანებების სამმართველოთა სტრუქტურა.

ბევრი სხვა ჩანაფიქრი აქვს გასწსაზორციელებელი საავტომობილო სამინისტროს კოლექტივს მუშაობის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის, სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა უფრო განხორციელებისათვის, პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა განუხრელი შესრულებისათვის.

შ. ამაშუკელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა 1987 წლის საქართველოს სსრ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნამუშევრები და მიიღო გადაწყვეტილება კენჭის საყრელად დაუშვას შემდეგი კანდიდატურები:

ლიტერატურის დარგში

ჭელიძე ოთარ სილოვანის ძე, პოეტი — 1984-1986 წლებში გამოქვეყნებული ლექსებისათვის.

წარმოადგინეს მწერალთა კავშირმა, ჟურნალ „მნათობის“ redაქციამ.

სახვითი ხელოვნების დარგში

ჯაფარიძე უჩა (ილია) მალაქიას ძე, მხატვარი — ბოლო წლებში შექმნილი პორტრეტებისა და ჟანრული სურათებისათვის.

წარმოადგინეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს მხატვართა კავშირმა.

თეატრალური ხელოვნების დარგში

ტატიშვილი ცისანა ბეჟანის ასული, მსახიობი — სალომეს როლის შესრულებისათვის რ. შტრაუსის ოპერა „სალომეში“, რომელიც დაიდგა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, და 1984-1986 წლების საკონცერტო მოღვაწეობისათვის.

წარმოადგინა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ.

მუსიკალური ხელოვნების დარგში

თაქოაქიშვილი ოთარ ვახილის ძე, კომპოზიტორი — ვოკალური ციკლებისათვის „აკაკის ჩანგი“ და „ნ. ბარათაშვილის ლექსებზე“.

წარმოადგინეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა.

კინოსა და ტელევიზიის დარგში

კოკოჩაშვილი მერაბ არჩილის ძე, დამდგმელი რეჟისორი, **ანდრონიკაშვილი ბორის ბორისის ძე,** სცენარისტი — მრავალსერიანი მხატვრულ-დოკუმენტური სატელევიზიო ფილმისათვის „გზა“.

წარმოადგინა საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა.

არქიტექტურის დარგში

ჯორბენაძე ვიქტორ ნიკოლოზის ძე, ორბელაძე ვაჟა ალექსანდრეს ძე — არქიტექტორები, **ფიცხელაური გივი გრიგოლის ძე,** ინჟინერ-კონსტრუქტორი, **ჯაფარიძე გიორგი ზურაბის ძე,** მოქანდაკე—ქ. თბილისის სადღესასწაულო სასახლის არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტისათვის.

წარმოადგინა საქართველოს არქიტექტორთა კავშირმა.

ცინცაძე ვახტანგ გერონტის ძე, არქიტექტორი — ქართული არქიტექტურული ძეგლების (ბეთანია, ჯვარი, ქვათახევი, დრანდა) რესტავრაციისათვის.

წარმოადგინა საქართველოს სსრ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის რესპუბლიკურმა საზოგადოებამ.

საუმაღვილო ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში

ბერულავა ხუტა მიხეილის ძე, მწერალი — მოთხრობებისათვის „ბიჭი, რომელსაც ჩიტის გული ჰქონდა“ და ბოლო წლებში შექმნილი საყმაწვილო ლექსებისათვის, რომლებიც შევიდა კრებულში „ალერსიანი მზე“.

წარმოადგინა საქართველოს მწერალთა კავშირმა.

* * *

კონკურსში მონაწილეობისათვის ნამუშევრების შერჩევისას პრეზიდიუმმა შეიტანა ზოგიერთი ცვლილება ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი კანდიდატურების შემადგენლობაში.

* * *

სახელმწიფო პრემიების კომიტეტი სთხოვს შემოქმედებითს კავშირებსა და ორგანიზაციებს, კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებებს, შრომითს კოლექტივებს, კერძო პირებს, გვაცნობონ თავიანთი აზრი საკონკურსო ნაწარმოებებისა და კანდიდატურათა შესახებ.

ჩვენი მისამართია: 380018, თბილისი, რუსთაველის, 8, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო პრემიების კომიტეტი. ტელეფონები: 93-76-04, 99-91-45, 99-64-82.

სიღნაღის რაიონის ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეთა №2 ბრიგადა, რომელსაც წლების მანძილზე უნარიანად ხელმძღვანელობს გამოცდილი მეცხოველე-სპეციალისტი სოსო ჯანიაშვილი, ერთ-ერთი მოწინავეა.

მოწინავე ბრიგადირი შარშანდელი წლის მიწურულს ქალაქ სიღნაღის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს. დაიწყო მეთორმეტე ხუთწლედის მეორე წელი. წინ ახალ-ახალი სამეურნეო მიჯნებია დასაძლევი...

სურათზე: ბრიგადირი ს. ჯანიაშვილი.

დ. იაკობაშვილის ფოტო.

ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲐᲬᲛᲧᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲧᲝᲑᲐᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

„უწინარეს ყოვლისა, ყველაზე გადამწყვეტი ღონისძიებები უნდა განახორციელოთ რესპუბლიკისათვის სოფლის მეურნეობის ისეთი ტრადიციული დარგის აღმავლობის მიზნით, როგორიც მევენახეობაა, განსაკუთრებით საზოგადოებრივ მეურნეობებში, მაქსიმალურად უნდა გავადიდოთ სუფრისა და უნიკალური ჯიშების უურძნის საეენახე ფართობები. ამასთანავე დასახულია ამოცანა რაც შეიძლება სწრაფად გარდაქმნათ ღვინის მრეწველობის საქმიანობა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად“.

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მასალებიდან

ალკოჰოლიზმი — ეს ვერაგი და საშიში დაავადება კაცობრიობის უბოროტესი მტერია. თვით ტერმინი ახალია და XIX საუკუნის მეორე ნახევარში დამკვიდრდა ჯერ სამეფოცინო ლიტერატურაში, ხოლო შემდგომ თითქმის ყველა ხალხის ენაში. რაც შეეხება დაავადებას, მას ათასწლეულთა მიღმა აქვს ფესვები გადგმული, მეცნიერებას ჯერ კიდევ ვერ დაუდგენია ზუსტი თარიღი.

საქართველოში ძველთაგანვე „მუცელღმერთობა“, „ნაყროვნება“, „მემთვრალეობა“ (თვით სიტყვებშია მწვავე დაგმობა განხატული) უშეღავათო გაკიცხვას იმსახურებდა, და ერის ჭეშმარიტი მამები, საზოგადოების მოწინავე წარმომადგენები მხოლოდ სიტყვით კი არა, საკუთარი მაგალითითაც კეთილმყოფელ გავლენას ახდენდნენ წესიერების გადაცდენილებზე, ვინც მაინც სცოდავდა, საჯაროდ კიცხავდნენ და, თუ არ გამოსწორდებოდა, მას საზოგადოების თვალში ყოველგვარი ფასი ეკარგებოდა. თვით თავისი ორიგინალობით და იერარქიით ცნობილი ქართული სუფრაც კი დათრობას და მეტადრე ლოთობას არასდროს იწყნარებდა. ლოთი, ისევე როგორც ქურდი, საზოგადოებაში ვერ გამოჩნდებოდა, მართალია, მას ცოფიანი ძაღლივით იქვე არ ჩაქოლავდნენ, მაგრამ ისე მოიკვეთდნენ, ისეთ ზიზღს აგრძნობინებდნენ, სიკვდილს ანატრინებდნენ. ახლა რა ხდება?! ჩვენებური ლოთი, თანამედროვე გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ალკოჰოლისტი — თავს იწონებს ნამდვილი ქართველი მე ვარ, მსმელი და ვაჟკაცი.

სიმშვიდე, ჭირნახულის მოყვანა და დაბინავება ქართველი კაცის მარადიული ოცნება იყო. ახლა ეს ყველაფერი მიღწეულია, მაგრამ სამძიერე, სიმსუქნე წამოგვეძალა.

ახლა პრობლემას სხვა თვალსაზრისითაც შეეხეთ—რას დავამსგავსეთ ღვინო — ღვთაებრივი სასმელი. სამწუხაროდ, მისი გაყალბების არც ზნეობრივი, არც ფიზიკური (ჯანმრთელობაზე მავნე გავლენა) შედეგები სათანადოდ გააზრებული და შეფასებული არა გვაქვს. ღვინის ბუნებრიობა და სიწმინდე დამყენებლის პატიოსნების, კაცობის ტოლფასი იყო. ღვინის შებღალვა ჭარეხელობას უდრიდა, და ამის ჩამდენი თითქოსდა ღვთის წინაშე იყო პასუხისმგებელი, დღეს კი ქართველთა უმეტესობა, სამწუხაროდ, გაყალბებულ ღვინოს სვამს.

ასე დაისადგურა ალკოჰოლის სნეულმა. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ალკოჰოლს ქალებიც მიეჯაჭვნენ. ქალთა ალკოჰოლიზმი კი ხშირად უნაყოფობის ვიზეზი ხდება. ძველად ადათით ნეფე-დედოფალს ერთი წვეთი მაგარი სასმელიც არ უნდა გაესინჯათ, რათა შთამომავლობას საფრთხე არ შექმნოდა. ქართველი ქალის სიმთვრალე და, მით უმეტეს, ალკოჰოლიზმით დაავადება ისტორიას არ ახსოვს.

ქალზე ასეთი რამ იმდენად წარმოუდგენელი იყო, რომ თვით გასაქილიკებელ ლექსებშიც კი არ ასახულა. ქალები ღვინოს კი მიირთმევდნენ, მაგრამ დათრობა იმდენად სირცხვილი იყო, ამას ვინ გაბედავდა! სამკურნალო მიზნით (სისუსტე, სისხლნაკლებობა, ძუძუს გაშრობა და სხვ.) ნადუღარ ან ნაკვერჩხლებზე გადავლებულ ღვინოს იყენებდნენ. ბავშვთა საყვარელი საქმელი „ბოღლიწოც“ (ღვინოში ჩამბალი პური) ასე მზადდებოდა. „ღვინითბილასაც“ და „თხილისშეჭამანდსაც“ დუღება და სათანადოდ შეკაზვა სჭირდებოდა. ყოველივე კი მხოლოდ ყურძნის ბუნებრივი წვენისა იყო. შხამი ცოტა როდენობითაც დამღუპველია, ხოლო, როცა ღვინოდ მონათლულ სუროგატს უზარმაზარი სასმისებით გონების დაკარგვამდე ნთქავენ, თან ამ შეურაცხადობას ნამდვილი ქართველობის ნიშნად აცხადებენ, ეს უკვე აღმაშფოთებელია.

შეიძლება განა მეღვინეობის საშობლოში ღვინის სმის კულტურა დაიკარგოს?! შორეულ წარსულში საწესო ორგიები სადღაც მთის კალთებზე ანდა სახატო ტყეებში იმართებოდა, ახლა ზოგიერთმა უაზრო სმის ასპარეზად საკუთარი სახლი გადააქცია. კითხვაზე, თუ რისთვის აშენებს ზოგიერთი ამხელა სახლს, არცთუ დელიკატურად უპასუხებენ: როგორ თუ ვილი, ეკონომიური და სწრაფი მეთოდი, რომელიც ემყარება გამდნარ ფოლადში სპეციალური მოწყობილობით შენაერთების „შებერვას“, შეიძინა ისეთმა ავტორიტეტულმა დასავლეთგერმანულმა ფირმამ, როგორიც არის „კრუპი“. ეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის გამოგონებაა, ხელმოწერილია აგრეთვე სალიცენზიო ხელშეკრულება სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ინალიზელსანიერების რამდენიმე ახალი ნაშრომის სალიცენზიო მასალებს. წელს ექვსი ლიცენზიის გაყიდვის იმედი გვაქვს.

ჩვენი სამუშაო უფრო ეფექტიანი იქნებოდა, სამპატენტო-სალიცენზიო მუშაობის პროცესში აქტიური მონაწილეობა რომ მიეღოთ სამინისტროებსა და უწყებებს. ჯერჯერობით ამ საქმეში მონაწილეობენ მხოლოდ საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო. საავტომობილო გზების სამინისტრო და მეცნიერებათა აკადემიის ორი (სამწუხაროდ, მხოლოდ ორი!) ორგანიზაცია — მეტალურგიის ინსტიტუტი და სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო „ხელსაწყოშენი“.

იმისათვის, რომ უკანასკნელ წლებში მოპოვებული დადებითი შედეგები გაიზარდოს, აუცილებელია სამინისტროებისა და უწყებების აპარატებში შეიქმნას სათანადო სპეციალიზებული განყოფილებები. სწორედ ამას მიუთითებს საკავშირო და რესპუბლიკური დირექტიული ორგანოების დადგენილებებიც.

კიდევ ერთი მწვავე პრობლემა — კადრები, მეთორმეტე ხუთწლედში საქართველოს სამინისტროებმა და უწყებებმა სხვა რესპუბლიკებთან შედარებით სპატენტო საქმის სპეციალისტთა ყველაზე მცირე რაოდენობა დაგეგმეს, არადა, სპატენტო საქმის ნამდვილი სპეციალისტი შეიძლება სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ალკოჰოლიზმი“ ეწოდოს. ეს ერთ-ერთი ფენომენია, ეროვნული ტრაგედია, ეროვნული უმეტესობა ვაზის ნაყოფისგან მზადდებოდა. ახლა ტკბილისკენერი და ჩურჩხელა ჩვენც კი ეგზოტიკურ ამბავითობად გვესახება. სამწუხაროდ, ზოგიერთმა სარფსგადაყოლილმა ჩურჩხელების ფალსიფიკაციითაც „ისახელა თავი“.

ყურძნის წვენისაგან ეროვნული ტკბილეულის დამზადება თითქმის დავიწყებულია, სიზაბითრიდ შესანახ ყურძენსაც ვერსად გადაეყრები, ჯაგნებსა და აკიდოებს რომელიმე ტრადიციულ ოჯახში თუღა აღმოაჩენ.

ახლა, როდესაც მოქმედებს ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ საკავშირო დადგენილება, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი აზრის სწორ ორიენტაციას. ქართულ ვაზს, ღვინოს და სუფრას კეისრის მისაგებელი უნდა მივაგოთ, ყოველ ვაზის ჯიშს თვალისჩინევით გავუფრთხილოდეთ და მისი ნაყოფი დანიშნულებისამებრ გამოვიყენოთ. ეროვნული ღირებულების მქონე ფენომენები კვების თანამედროვე ინდუსტრიას მივუსადაგოთ, თანაც ისე, რომ შევუნარჩუნოთ ხალხური თავისებურებანი, ბუნებრიობა და სიწმინდე. ყოველივე ეს უდიდესი საქმე, ჩვენივე ჯანსაღი აწყოსა და მომავლის უზრუნველყოფისათვის გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნება.

ლევან ფრუიძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲐᲒᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ᲥᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲝᲡᲘᲐᲜᲘ ᲬᲔᲚᲘ

შარშან ქართველ მეცნიერთა ნამუშევრების ხუთი ლიცენზია გაიყიდა

ᲧᲝᲕᲔᲚᲤᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲮᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ მეტ ლიცენზიებს იძენენ საზღვარგარეთული ფირმები ჩვენს ქვეყანაში შემუშავებულ უახლეს ტექნიკასა და ტექნოლოგიურ პროცესებზე. შარშან ქართველ მეცნიერთა ნამუშევრების ხუთი ლიცენზია გაიყიდა. ეს ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია მოძმე რესპუბლიკებს შორის.

— დიახ, შარშანდელი წელი ამ მხრივ საქართველოსთვის ყველაზე შედეგიანი იყო, — გვეუბნება საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის საპატენტო-სალიცენზიო განყოფილების უფროსი გურამ ციციშვილი, — 1985 წლამდე ქართველ მეცნიერთა მიერ შემუშავებულ სიახლეებზე სულ მხოლოდ 4 ლიცენზია იყო გაყიდული. 1985 წელს ამას მივაღწიეთ რომ ჩვენი ლიცენზიები შეისყიდეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იტალიაში, შვეიცარიასა და ინდოეთში.

შარშანდელი შედეგები უფრო უკეთესია — ფირმა „ფერროშტალმა“ შეიძინა მსუბუქ კომპაქტურ, ეკონომიურ საშემდუღებლო ციკლოკონვერტორის ლიცენზია, რომელიც შექმნეს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შედუღებისა და სპეციალურ-ელექტრომეტალურგიის რესპუბლიკური სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის მეცნიერებმა. ამავე ინსტიტუტთან არსებული ელექტრონული მიკროსკოპის რესპუბლიკურ ცენტრში შემუშავებული სპექტროპოტენციოსტატი შეიძინეს ორ დიდად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში. ეს ხელსაწყო შეიქმნა ლითონოლების კოროზიული თვისებების შესასწავლად და საშუალებას იძლევა ექსპერიმენტების დროს რამდენჯერმე შევამციროთ დროის, მუშაობელის ელექტროენერგიისა და გამოსაცდელი ნიმუშების რაოდენობა.

წინასწარ დაგეგმილი თვისებების მქონე ფოლადის მიღების ადგილი, ეკონომიური და სწრაფი მეთოდი, რომელიც ემყარება გამ

პასუხები
ფაქტები • მოვლენები

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრობლემები და განსჯა

იმაზე, რომ ჩვენ ყველამ ვ. ი. ლენინის გზით უნდა ვიარეთ, მი-ი ცხოვრების მაგალითზე ვისწავ-ოთ, თუ როგორ უნდა ვიცხოვ-ოთ, ვიმუშაოთ და ვიბრძოლოთ ეროვნული კაცობრიობის უკეთე-ი მომავლისათვის, თითქმის ყვე-ა თანამდებობის პირი ლაპარა-ობს. მაგრამ ყველა როდი ასრუ-ებს ამ საჯარო აღთქმებს, ზოგიე-თისა სიტყვა სხვაა, საქმე — -ვა. ეს, რა თქმა უნდა, ამ ცო-ბნის წინათ ხდებოდა, მაგრამ, -ბწუხაროდ, სამოლოოდ დღემდე -ი აღმოფხვრილა.

ვინ არ იცის, რა უსაზღვროდ -ა თავდადებით უყვარდა ვ. ი. ენინს მშრომელი კაცი, რაც -ამანებისადმი, მათი ყოველდ-ეური საზრუნაკისა და საჭირო-ებებისადმი უურადღებით, კეთი-ილსურნეობით, გულისხმიერი -ამკიდებულებით გამოიხატებ-და. მაგრამ ლენინის ამ შესანიშ-ვნელებებში ჩვენ სამართლია-დ ვხედავთ არა მარტო სიბრ-ძეს, ადამიანურობას, ოჯახურ -ზრდას, არამედ იდეურ მოტი-ებსაც, რადგან ვ. ი. ლენინმა კა-ად იცოდა ის მარტივი და ამ-თანავე დიადი ჭეშმარიტება, -ომელიც გვასწავლის სოციალ-ზმის პირობებში საზოგადოე-რივი და პირადი ორგანულად, -ანუყოფლად არის ურთიერთგა-ირობებული. და ამიტომ ცნე-ში „ხალხი“ ჩვენ გვულისხმობთ -ე კონკრეტულ ინდივიდთა ერთი-ობას, რომელთაგან თითოეულს -ნდა ვემსახუროთ, რათა სარგე-ლობა მოვუტანოთ მთლიანად -ალს.

და განა სასიხარულო არ არის, -ომ ჩვენს პარტიაში, მის ერთ-ერთ შებრძოლ რაზმში — საქარ-ველოს კომპარტიაში კადრების -ერიგებასა და დაწინაურებაში უფ-რო მეტად ვითვალისწინებთ, ახ-ასიათებთ თუ არა მათ ლენინის -ტალონური თვისებები — საზო-ადოებრივი იქნება თუ პირადი, -იდი თუ მცირე საქმე, ღირსეუ-ად, პატიოსნად ასრულებდნენ თა-ანთ ადამიანურ, მოქალაქეობრივ -ა სამსახურებრივ მოვალეობას. -ასიხარულია იმტომ, რომ, სამ-უზარილ, მწარე გამოცდილებამ -ადგა ერწმუნა: ამ პრინციპების -ოგულებელყოფა სერიოზულ ნე-ატიურ მოვლენებს იწვევს. მით -ეტრო მაშინ, როცა ხელისუფ-ლების სათავეში „გაძრომას“ ახ-ერხებდნენ კარიერისტები, რომე-ლთა მიზანი იყო არა სხვების, საზოგადოების სამსახური, არამედ -ამსახურებრივი იერარქიის კიბე-ე აღმასვლა. კარიერიზმი კი, მო-ეხსენებათ, ბიუროკრატიულ და-ახიხვებათა წყაროა, „ჩვენი ყვე-ალზე უარესი შინაური მტერია“, -როგორც ვ. ი. ლენინმა განსაზღვ-ა.

• • •

გაზეთი „სოვეტ გურჯისტანი“ -ელიწადში თავისი მკითხველება-საგან 2-3 ათას წერილს იღებს. -ს არის თხოვნა, საჩივარი, ნაკ-ლოვანებათა კრიტიკა, სხვადასხვა-ვარი წინადადებანი. მათი უმრა-ლესობის მიზანია უფრო უკეთ -ოგადიოდეს საქმე ჩვენი საზო-ადოებრივი ცხოვრების ამა თუ -ან უბანზე, შეუქცევადი გახდეს -არდაქმნა და დაჩქარება, წარმა-ებით დამთავრდეს ბრძოლა პრო-ლეტარიატის ჩინებული ხარისხისათ-ის.

ცხადია, ამ წერილების საფუძ-ველზე გაგზავნილი მმართველებსა -და შეკითხვების გამო რედაქცია -ასუხებს იღებს ამა თუ იმ დაწე-ებულების ხელმძღვანელებისაგან. -ოგი მათგანი საქმიანი, მკაფიოა, -ტყობა, რომ მათი ხელმომწერი -ახსნაგები პატივს სცემენ ადამი-ანს, ყოველნაირად ცდილობენ -დროულად გადაწყვეტონ მათ მი-ერ აღძრული საკითხები. სხვანი -ოვიდან გვიმორჩენ: მათ პასუ-ხებში არაფრისმთქმელი ზოგადი -ფრაზებისა და ფორმალური და-პირებების გარდა ვერაფერს ნა-ხავთ...

ბევრი წერილის „ბიოგრაფია“ -ბოლოანი დასკვნის გამოტანის -საფუძველს გვაძლევს: საკითხები, -რომელთა გულისთვის მათს ავტ-ორებს მრავალი ინსტანციისა და -სამსახურის კარი აუტალახებიათ, -ურაფად და იოლად გადაწყდე-ბოდა ადგილზევე მთხოვნელები -გულისხმიერი, პასუხისმგებლობის -ქონე ადამიანები რომ დახვედ-ებოდნენ. მაგრამ სამწუხაროდ -ბიუროკრატებს გადაწყდნენ.

ადამიანებისადმი ამგვარ დამო-ებულებას შეხვდებით ჯანმრ-ელობის დაცვის, საყოფაცხოვ-ებო მომსახურების, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მეურნეობის -ბრანჩებებშიც, განსაკუთ-ებით კი ადმინისტრაციულ ორ-განოებში. რესპუბლიკის პროკუ-ატურამ მუშაობის ბიუროკრატი-ული სტილისათვის მკაცრად და-ასა ერთ-ერთი თავისი პასუხისმ-ებელი თანამშრომელი ა. ბ. ში-ანელი. ასეთივე ნაკლისთვის -ასკვლი დაეზოთ ასპინძის რაიო-ნის პროკურორს ს. გ. გოგოლა-ძეს და ზოგიერთ სხვა თანამშრო-ელს. საქართველოს სსრ უმაღ-ესი სასამართლოს დისციპლინ-არმა კომისიამ უსულგულობისა-ვის პასუხისმგებლობა დააკისრა -წყალტუბოს სახალხო მოსამარ-ლეს ლ. ს. მამაგიშვილს, დაისა-ჯენ ამ სისტემის სხვა მუშაკებიც. -ამი წლის მარტიდან 23-ჯერ გა-ფიდო სახალხო სასამართლოს -ხმომა ინ საკითხზე, რომ ც. ბე-ლიძისთვის დაებრუნებინათ ბავ-ვი. ამ შემთხვევაში საქმის გამ-ხილვაში როლში მოგვევლინა -ქუთაისის ლენინის რაიონის სა-ალხო მოსამართლე ნ. ალფაიძე. -ამგვარი ფაქტების მოყვანა კიდევ -ეგვიძლია, მაგრამ, როგორც იტ-ყვიან, ეჭშმარიტება დახვავებული -ფაქტების ხარჯზე კი არ შეიცნობა, -რამედ მოვლენის არსის, მიზ-ეზის გამოკვლევის შედეგად. ამ შემთხვევაში კი ბიროროტების უპირველესი მიზეზია **ბიუროკრატიზმი,** რომლის ნეგატიური სოციალური შედეგები ფრიად საშიშია ყოველი ჩვენგანისათვის.

სწორედ ბიუროკრატიულმა დამახინჯებებმა მოაწერინა ჩვენი რედაქციისათვის წერილები ბევრ განაწყენებულ მკითხველს. აი ზოგიერთი მკვეთრმეტყველური ნაწყვეტი ამ წერილებიდან: „ზოგიერთ ხელმძღვანელთან შესვლა არც ისე იოლი საქმეა. ხდება ხოლმე, დიდი დავიდარაბის შემდეგ ბოლოს და ბოლოს მიგიღებენ. შედიხარ კაბინეტში, დამხვდურის სახეზე კი კითხულობ: „მადლობელი იყავი, რომ შემოგიშვიო...“. ზოგჯერ კი პირდაპირ გაგრძნობინებენ: შენთვის არა ცალია, თქვი ჩქარა, რა გინდაო...“. ცდილობ სხაპასხეპით აუხსნა რა და რისთვის, მაგრამ ვინ გისმენს — პასუხისმგებელი ამხანაგი თავის პრობლემებში ჩაფლულა და სხვეზე ამკარად ემჩნევა, რომ „აქ არ არის“... ოდა, ბრუნდები დამცირებული. გული კი ფიქრობ: „ღმერთმა ნუ ქნას, კიდევ ოდესმე მომიხდეს ამგვარ ადამიანთან მთხოვნელად შესვლა“. ასეთივე აზრით არის გამსჭვალული ომის ვეტერანის წერილი: „თვეების მანძილზე ბიმმართავ სხვადასხვა ინსტანციას, მაგრამ ან პასუხს არ მაძლევენ ან, თუ მიპასუხებენ, ისე, რომ ვფიქრობ, ნეტავ არ მომეწერა-მეთქი. ჩემი ორი საჩივარი კი, თქვენ წარმოიდგინეთ, იმათ გადაუგზავნეს, ვისაც ვუჩიოდი...“.

ჩვენს რედაქციაში უხვად დაგროვდა ასეთი, ზოგჯერ გულისწყრომით აღსავსე ბარათები. კითხულობ ამ წერილებს და გესმის: მკითხველი ლაპარაკობს ბიუროკრატებზე, რომლებსაც ნაირ-ნაირი თანამდებობანი უკავიათ სამმართველო იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე. მაგრამ განა სწორედ ასეთი „მუშაკები“ არ არიან, ავტორიტეტს რომ ულახავენ პარტიას, სახელს უტეხენ საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებს?

• • •

ამა თუ იმ გარემოების გამო ბევრი ჩვენგანი გადასწყდომია ბიუროკრატებს და ბიუროკრატიზმის სხვადასხვა გამოვლინებას. და თუმცა ძნელია ადამიანებს შორის აბსოლუტური იგივეობრიობის დადასტურება, ბიუროკრატებს „ატრიბუტები“ ძალზე ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, ქცევა: მბრძანებლური ტონი, ამპარტავნობა, კატეგორიული მსჯელობა, მოჩვენებითი ფუსფუსი, ვითომ ძალზე მოუცლელი იყოს დიდი სახელმ-წიფო საქმეების გამო... არსი კი ერთია: **უსულგულობა, სრული გულგრილობა კონკრეტული ადამიანის ბედისადმი, მისი ჭირისა თუ ლხინისადმი, პასუხისმგებლობისათვის თავის არიდება...** აქედან გამომდინარეობს უმასუხისმგებლობა, უქნარობა, ზოგჯერ თავდაჯერებული სუბიექტივიზმი, თვითკმაყოფილება, დოგმატიზმი, ქაღალდთმთხზველობა, პასიურობა, კუთხურობა, ტექნოკრატიზმი, კაბინეტური მუშაობისადმი მიდრეკილება, საჯაროობის შიში და მრავალი სხვა. ერთი სიტყვით, როგორც ვ. ი. ლენინმა თქვა, — ცოცხალი საქმის ჩინთნიკური ჩაკვლა, „აპიონური“ მატყუარობა.

სინამდვილეში ყველას, ვისთვისაც კი ძალაუფლება მიუნდვიათ, შეუძლია თავისი საქმსახურებრივი მოვალეობა ფორმალურად შეასრულოს — „აქედან აქამდე“, არც ადამიანი უყვარდეს, არც ის ესმოდეს, რომ პასუხს აგებს გარემმცველთა ბედისათვის, საზოგადოების ყველა და თითოეული წევრის კეთილდღეობისათვის, ყველასათვის, ვინც ასე თუ ისე მასზეა დამოკიდებული. მაგრამ ასე ხომ სრულფასოვანი ხელმძღვანელი ვერ იქნები და, მაშასადამე, ბიუროკრატად ჩამოყალიბდები. უმწიფარი მსოფლმხედველობა, შეზღუდული მოქალაქეობრივი შეგნება, დამყაყება, კონსერვატიზმი, ანლის შიში, თანამდებობისადმი კარიერისტული სიხარბე, დამოკიდებულება ადამიანებისადმი, არა როგორც ჩვენი შრომისა და ბრძოლის **მიზნის,** არამედ როგორც პირადი მიზნების მიღწევის **საშუალებებისადმი** — აი შინაგანი, პირადული ზასაზრდოებელი ნიადაგი, რომელზეც ბიუროკრატიზმი დამახინჯებანი ხარობს. და საკმაოდ კანონზომიერია, რომ, როცა ცხოვრების გზაზე ამისთანა ვაი-მუშაკებს გადაეყრები, უნებურად გებადება გულსაკლავი, ზოგჯერ, გულახდილად ვთქვათ, გარდაუვალად პესიმისტური პასუხი კითხვაზე: „ესენი არიან ხალხის მსახურნი?“.

• • •

სოციალიზმის დროს სამმართველო აპარატის ზრდა განსაკუთრებული სოციალური ფენის — ბიუროკრატიის გაჩენას ხელს არ უწყობს, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენს საზოგადოებაში ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს, რომელსაც კონსტიტუციური უფლება აქვს პერიოდულად განაახლოს და შეცვალოს ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანები, შეცვალოს ფუნქციონერები. მაგალითად, საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლეს საბჭოში 440 დეპუტატიდან 272 პირველად არის არჩეული დეპუტატად, რაც იმის დასტურია, რომ რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო 1985 წლის შემდეგ 61,8 პროცენტით განახლდა. **ბიუროკრატიზმი უცხოა საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ბუნებისათვის, რადგან ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემა ხალხის ინტერესებს გამოხატავს, ხალხს ემსახურება, ხალხს ეყრდნობა და, ბოლოს, თვითონ ხალხი აყალიბებს ხელისუფლების ორგანოებს თავისი საუკეთესო წარმომადგენლებისაგან.**

მაგრამ მიუხედავად ამისა, ბიუროკრატიული ტენდენციები ძალზე გამძლეა. და, სამწუხაროდ, ჩვენი სამმართველო აპარატი მთლიანად ვერ არის დაზღვეული მისგან, რაც ხშირად საგრძნობ ზიანს გვაყენებს.

ბიუროკრატისთვის დამახასიათებელია სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება ადამიანებისადმი, საქმისადმი, უფროსებისადმი. რიგით ადამიანებს ამპარტავნულად, აგდებულად, გულგრილად ეპყრობა. ერთი სიტყვით, არაფრად აგდებს ყოველივე იმას, რაც ადამიანის ბედს, ღირსებას შეეხება; საქმეს ფორმალურად და ანგარებით ეკიდება, უფროსობას — კარიერისტულად, მაამებლურად, ერთი სიტყვით, ფეხებქვეშ ეგება.

სოციალიზმის პირობებში ბიუროკრატიზმის რეციდივების გავრცელების მიზეზები, ჩვენი აზრით, შემდეგ **ობიექტურ** და **სუბიექტურ** ფაქტორებში უნდა ვეძიოთ. ესენია: მრავალი წლის მანძილზე ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტება; ჩვენი კადრების ნაწილის პოლიტიკური, ზოგადი და ზნეობრივი კულტურის არასაკმაო დონე, კრიტიკისა და თვითკრიტიკის უგულებელყოფა; მათი საქმიანობისადმი ზემოდან და ქვემოდან, განსაკუთრებით ქვემოდან კონტროლის შესუსტება, რაც ზოგიერთ ხელმძღვანელს მასებისაგან სრული დამოუკიდებლობისა და მარტოოდენ „ზემოთთებზე“ დამოკიდებულების ილუზიას უქმნის; ხელისუფლების მეტისმეტი ცენტრალიზაცია, რაც იმას იწვევს, რომ გარკვეული ხელმძღვანელები, სოციალისტური მმართველობის დემოკრატიული პრინციპების საწინააღმდეგოდ, ცდილობენ ერთპიროვნული სამმართველო გადაწყვეტილებების მიღების უფლება დაიჩემონ; იმის გაზვიადებული რწმენა, თითქოს ყოველგვარი წამოჭრილი საკითხები ადმინისტრაციული მეთოდებით შეიძლება გადაიჭრას; პასუხისმგებლობისადმი ფასის დაკარგვისათვის პასუხისმგებლობის შიში.

როცა უკვირდები ჩვენს ქვეყანაში საქმის ვითარებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმამდე, უნებურად მიდიხარ იმ დასკვნამდე, რომ მრავალი თვალსაზრისით სწორედ ბიუროკრატიზმმა ჩამოარჩინა რამდენადმე ეკონომიკა, კულტურა თუ ლიტერატურა, წარმოშვა სიძნელენი, რომლებსაც სახალხო მეურნეობა, საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრი სფერო განიცდის, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის გაჭიანურების, ბევრი ჩვენი იდეოლოგიური აქტივის უნაყოფობის, პროდუქციის ხარისხის პრობლემის ესოდენ მწვავედ წამოჭრის მიზეზი გახდა. ბიუროკრატიზმი გზას უხშობდა სიმართლეს, საჯაროობას, გამბედაობას, წესიერებას, გონივრულ, საზოგადოებრივი პროგრესისათვის სასარგებლო მოქმედებას. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ზოგ-ზოგებს სკეპტიკური უნდობლობა დაეუფლათ სოციალური სამართლიანობის გამარჯვებისადმი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა და პარტიის XXVII ყრილობამ სოციალური პრობლემები განსაზღვრულ ამოცანათა რიგში დააყენეს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის ძირფესვიან გარდაქმნასთან. სწორედ ამიტომ XXVII ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურმა მოხსენებამ პარტიას მოუწოდა სამოღლო და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადოს ბიუროკრატიზმს, რადგან ღღეს, ფეხმოკიდებული სქემების რევოლუციური მსხვრევის, საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი სტრუქტურისა და რგოლების გარდაქმნის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსის, საზოგადოებრივი ურთიერთობის თვისებრივი გარდაქმნის პირობებში ბიუროკრატიზმი კიდევ უფრო შეუწყნარებელი გახდა, ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ დაბრკოლებად იქცა პარტიის დებულებათა რეალიზაციის გზაზე. სწორედ ამ გარემოებამ განსაზღვრა იმის საჭიროება, რომ სკკპ პროგრამასა და წესდებაში შეეტანათ დებულება ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის შესახებ.

ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც სოციალური სამართლიანობის პრინციპის განუხრელ განხორციელებას, ისე საფუძვლიან, ნაყოფიერ პოლიტიკურ, ფილოსოფიურ და ზნეობრივ-აღმზრდელობითს მუშაობას, რომლის მიზანია მასების და უწინარეს ყოვლისა შრომითი კოლექტივების წევრების სოციალურ-მოქალაქეობრივი აქტიურობის გაზრდა, გამოუკლებლივ ყველას მხრივ კანონიერების, წესრიგისა და დისციპლინის ზუსტად დაცვას, იქნება ეს უმაღლესი ხელმძღვანელი თუ რიგითი მუშაკი, მინისტრი თუ მუშა, აკადემიკოსი თუ მძღოლი.

იმისათვის, რომ არ განოგვეპაროს, თუ სად დაიბადა ბიუროკრატიზმი, დღენიადაგ უნდა ვვიმარდეთ კრიტიკას და თვითკრიტიკას, უზრუნველვყოთ მკაცრი სახელმწიფო კონტროლი იმისადმი, თუ როგორ ასრულებს ესა თუ ის ფუნქციონერი თავის სამსახურებრივ და მოქალაქეობრივ მოვალეობას.

უნდა ვიფიქროთ, რომ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში პოზიტიურ გავლენას მოახდენს ამას წინათ შემოღებული თანამდებობის პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის დარღვევისათვის, იმათი დევნისათვის, ვინც საჯაროდ გამოდის ნეგატიური მოვლენების კონკრეტულ მატარებელთა წინააღმდეგ, ვინც წინასწარი განზრახვით ლახავს მშრომელთა საბინაო, ჯონებრივ, შრომისა თუ სხვა კანონიერ უფლებებს, რომლებიც გარანტირებულია კონსტიტუციით.

და ბოლოს, როგორც ჩანს, უმთავრესი — ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ მთლიანად გამოვლინდეს სოციალისტური წყობილებისათვის დამახასიათებელი დემოკრატიული პოტენციალი, როგორც ვ. ი. ლენინმა თქვა, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ამ ბრძოლაში ჩავაბათ მთელი ხალხი, გავხადოთ ეს ბრძოლა საყოველთაო-სახალხო. აი, ასეთია, ჩვენი აზრით, არცთუ სრული ნუსხა იმ ღონისძიებებისა, რომლებსაც ძალი შესწევთ აღკვეთონ ბიუროკრატიზმი.

თ. ჯაფარლი,
გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის“ რედაქტორი.

„ჩვენი ყველაზე უარესი შინაური მტერი...“

ჰანაკო ნაკამურა:

დღემდე არ მჯერა, რომ ეს სასიხარულო დღე დამიდგა

ტოკიო. 14 წლის იაპონელ მოსწავლეს ჰანაკო ნაკამურას სსრ კავშირის ტოკიოს საელჩოში საზეიმო ვითარებაში გადასცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის პასუხი. მ. ს. გორბაჩოვმა რამდენიმე ხნის წინათ მიიღო ამ გოგონას წერილი. წერილში მან საბჭოთა ხელმძღვანელს მისწერა, რომ სურს მშვიდობა და ეჯავრება ომი, უნდა უკეთ გაეცნოს საბჭოთა ადამიანების ცხოვრებას. მ. ს. გორბაჩოვმა გულთბილი პასუხი გასცა იაპონელი მოსწავლის წერილს და გამოუგზავნა მას საჩუქრები — წიგნები სსრ კავშირის შესახებ და რუსული ენის სახელმძღვანელო.

„დღემდე არ მჯერა, რომ ეს სასიხარულო დღე დამიდგა, — აღელვებულმა უთხრა ჟურნალისტებს იაპონელმა მოსწავლემ. — ყველასათვის გასაგებია მ. ს. გორბაჩოვის სიტყვები, რომ საბჭოთა ადამიანები ერთგულობენ მშვიდობას, სურთ არ დაუშვან ომი. ალბათ, იკითხავთ, რატომ მივწერე წერილი? ბევრი რამ წამიკითხავს ბოლო დიდი ომის საშინელებათა შესახებ, მინახავს მასზე ფილმები ტელევიზიით. მაგრამ ახლა, როცა არის ბირთვული იარაღი, ახალი ომი ხომ კიდევ უფრო საშინელი იქნება, იგი ჩვენს პლანეტაზე ყველას შეიწირავს. მივხვდი, რომ მეც რაღაც უნდა გამეკეთებინა ქვეყნად სიცოცხლის შესანარჩუნებლად. ბატონი გორბაჩოვის პასუხი ცხადყოფს, რომ შეგვიძლია ომის თავიდან აცილება, თუ ვიმეგობრებთ და ერთად ვიბრძოლთ მშვიდობისათვის“.

„ორმად სიმბოლურია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის პასუხი ჰანაკოს გადაეცა სწორედ 15 იანვარს, როცა ზუსტად ერთი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელმძღვანელმა წამოაყენა მიმდინარე საუკუნის დამლევამდე ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის ისტორიული პროგრამა, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს იაპონიის პარლამენტის ზედა პალატის დეპუტატმა მაკი მურასავამ, რომელიც მეთაურობს იაპონია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების განყოფილებას ნაგანოს პრეფექტურაში, სადაც ჰანაკო ნაკამურა ცხოვრობს. — თავის პასუხში მ. ს. გორბაჩოვმა კვლავ ცხადყო, რომ სსრ კავშირი მსობრივი მოსპობის საშუალებებისაგან პლანეტის ხსნის საქმის ერთგულია. საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებული პროგრამა კონკრეტულია და განმტკიცებულია დიდი პრაქტიკული ღონისძიებით — ბირთვული გამოცდების ცალმხრივი მორატორიუმით. მხურვალედ მივესალმებთ სსრ კავშირის ასეთ პოზიციას, რომელიც ყველა ხალხის მისწრაფებებს შეესაბამება“.

მოძმედების პროგრამა

დე კუელიარმა მხარი დაუჭირა სსრ კავშირის სამშვიდობო ინიციატივებს

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ხ. პერეს დე კუელიარმა მიიღო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. მ. ნიკიფოროვი. საუბრის დროს ხაზგასმით აღინშნეს, სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს 1986 წლის 15 იანვარს სსრ კავშირის მიერ წამოყენებული პროგრამა, რომელშიც დასახულია საუკუნის დამლევამდე ბირთვული, ქიმიური და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის სრული ლიკვიდაცია. ამასთან დაკავშირებით ორივე მხარემ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის ინიციატივებს.

საუბრის დროს, რომელშიც მონაწილეობდა სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ა. მ. ბელონოგოვი, განიხილეს აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეფექტიანობის გადიდების, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს მუშაობის საკითხები.

მ. ს. გორბაჩოვის პასუხი გადაეცა 14 წლის იაპონელ მოსწავლეს

ტელეტაიპის ლენტიდან

✦ **ნიუ-იორკი.** ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა დიდმა ჯგუფმა ალაბამის შტატის გუბერნატორს მოუწოდა დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს ციხიდან ზანგი აქტივისტი ჯონი ჰარისი, რომელსაც სიკვდილით დასჯა მიესაჯა შეკოწწეებული ბრალდებით.

როგორც რასობრივი და პოლიტიკური რეპრესიების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული კავშირის თანათავმჯდომარემ ანჯელა დევისმა განაცხადა, პეტიცია ამ მოწოდებით ალაბამის გუბერნატორს გასული წლის ბოლო დღეებში გადაეცა, მაგრამ მას დღემდე არ გაუცია პასუხი.

✦ **ბოგოტა.** აქ გაიმართა კოლუმბიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი. პლენუმის მონაწილეებმა განიხილეს ქვეყნის საშინაო პოლიტიკური ვითარება, დასახეს მიმდინარე წლისათვის კომუნისტთა მოქმედების პროგრამა.

პლენუმზე ძირითადი მოხსენება გააკეთა კოლუმბიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ხ. ვიეირამ. ვითარებას კოლუმბიაში, თქვა მან, ახასიათებს ძალების მზარდი პოლარიზაცია.

● ეკვადორი

გაათავისუფლეს პრეზიდენტი

კიტო. ეკვადორის პრეზიდენტი ლეონ ფებრეს კორდერო გაათავისუფლა სამხედროების ჯგუფმა, რომელმაც 16 იანვარს დილით შეიპყრო იგი ქალაქ გუაიაკილის მახლობლად მდებარე „ტაურის“ სამხედრო-საჰაერო ბაზაში.

სახელმწიფოს მეთაური დათანხმდა მისი შემპყრობი სამხედროების ჯგუფის ხელმძღვანელობის პირობას, რომ გაათავისუფლებს ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილ სარდალს, გადამდგარ გენერალ-ლეიტენანტს ფრანგ ვარგასს და შეწყვეტს მის წინააღმდეგ სასამართლო გამოძიებას შარშან მარტში ანტისამთავრობო შეიარაღებული გამოსვლის მცდელობის გამო. ამავე დროს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ვალდებულებას, რომ არ მიმართავს რეპრესიულ ღონისძიებებს მისი გამტაცებლების წინააღმდეგ.

პრეზიდენტის დაცვასა და შეპყრობაში მონაწილე პარაშუტისტთა ქვეგანაყოფს შორის ატეხილი სროლის დროს 4 კაცი დაიღუპა, რამდენიმე კაცი დაიჭრა, მათ შორის ეროვნული თავდაცვის მინისტრი მედარდო სალასარი, რომელიც თან ახლდა პრეზიდენტს.

განთავისუფლების შემდეგ ლეონ ფებრეს კორდერო გუაიაკილში ჩავიდა. მან ყოველგვარი განცხადებისაგან თავი შეიკავა.

ეკვადორის პრეზიდენტი

ᲘᲣᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘᲡ ᲐᲓᲘᲐᲠᲔᲑᲐ

გაუქმდა სსრ კავშირში ნავთობისა და გაზის მრეწველობის მოწყობილობის ექსპორტის შეზღუდვები

ვაშინგტონი. ვაშინგტონი კვლავ იძულებულია თავისი ნების საწინააღმდეგოდ აღიაროს აშკარა ფაქტი: საბჭოთა კავშირის მიმართ დისკრიმინაციული სავაჭრო აკრძალვებისა და ემბარგოების ვაშინგტონისეული პოლიტიკა არამცთუ შედეგს არ იძლევა, არამედ თვით შეერთებულ შტატებსვე აზარალებს. ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრმა მალკოლმ ბოლდრიჯმა გამოაცხადა, რომ ადმინისტრაციამ გადაწყვიტა გაუქმოს ბოლო 9 წლის განმავლობაში მოქმედი სსრ კავშირისათვის ნავთობისა და გაზის მრეწველობის მოწყობილობის მიწოდების „შეზღუდვები“. კონგრესისათვის წარდგენილ მოხსენებაში იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირისათვის ნავთობისა და გაზის მოწყობილობის და ტექნოლოგიის მიწოდებისადმი საგარეო-პოლიტიკური მოსაზრებებით ნაკარნახევი კონტროლი არ შეესაბამება შეერთებული შტატების „ეროვნულ ინტერესებს“. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ამ ღონისძიებებმა, რომლებიც, როგორც ცნობილია, სსრ კავშირზე პოლიტიკური ზეგავლენის მოსახდენად განხორციელდა, „საგრძნობლად ავნო ნავთობისა და გაზის მრეწველობას“ შეერთებულ შტატებში.

მართლაც, სსრ კავშირთან ვაჭრობაზე 1978 წელს ვაშინგტონის მიერ დაწესებული დისკრიმინაციული „შეზღუდვების“ საზღაური უწინარეს ყოვლისა ამერიკულმა ფირმებმა გაიღეს. გაზეთ „ჯორნელ ოფ კომერს ენდ კომერშლის“ მოწმობით, მათ კოლოსალური ზარალი განიცადეს, ვინაიდან დაკარგეს ხელსაყრელი საექსპორტო კონტრაქტები, რომლებიც წილად ხვდათ დასავლეთევროპელ, იაპონელ და კანადელ მიმწოდებლებს.

ბოლო დროს კაპიტოლიუმის ბორცვზე სულ უფრო დაჟინებით მოითხოვდნენ სსრ კავშირთან ვაჭრობის შეზღუდვების გაუქმებას. იმ შტატების წარმომადგენელმა მთელმა რიგმა სენატორებმა, სადაც თავმოყრილია ნავთობის მრეწველობის საწარმოები, სახელმწიფო მდივანს ჯორჯ შულეს, ვაჭრობის მინისტრს მალკოლმ ბოლდრიჯსა და პრეზიდენტის თანაშემწეს ეროვნული უშიშროების საკითხებში ფრენკ კარლუჩის გაგზავნეს წერილები, რომლებშიც ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ექსპორტისადმი კონტროლის ღონისძიებები „შეერთებულ შტატებს 188 ათასი დაკარგული სამუშაო ადგილის ფასად უჯდება და ყოველწლიურად ვაჭრობაში 9 მილიარდ დოლარს აკარგვინებს“.

● ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ

ᲘᲛᲜᲘᲛᲒᲐ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲙᲝᲐᲚᲘᲪᲘᲐ

ვენა. ავსტრიის სოციალისტურმა პარტიამ და ავსტრიის სახალხო პარტიამ მიაღწიეს „პრინციპულ შეთანხმებას“ სამთავრობო კოალიციის შექმნის შესახებ. ეს გამოაცხადა ავსტრიის ფედერალურმა კანცლერმა ფრანც ვრანიცკიმ, რომელიც სათავეში ჩაუდგება ქვეყნის ახალ მთავრობას. ავსტრიის ამ ორმა უდიდესმა პოლიტიკურმა პარტიამ დაახლოებით თვე-ნახევრის მოლაპარაკების შედეგად მიაღწია პრინციპულ მორიგებასაც მთავრობის პოლიტიკის ძირითადი საკითხების, კოალიციური თანამშრომლობის მექანიზმისა და ახალ კაბინეტში მინისტრთა პოსტების განაწილების შესახებ. სამთავრობო კოალიციის შექმნის საჭიროება წარმოიქმნა, როგორც ცნობილია, პარლამენტის გასულ იწლის ნოემბრის არჩევნების შემდეგ, რომლის დროს ავსტრიის ვერც ერთმა პარტიამ ვერ მოიპოვა აბსოლუტური უმრავლესობა.

ორივე პარტიის კოალიციურ მთავრობაში თანაბარი რიცხვის წარმომადგენლები ეყოლება, ავსტრიის სახალხო პარტიის თავმჯდომარე ა. მოკი დაიკავებს ვიცე-კანცლერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს.

ᲓᲔᲛᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

ᲣᲠᲑᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲢᲔᲛᲞᲘ

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მსოფლიოს მოსახლეობის შესახებ

ნიუ-იორკი. 17 იანვარი. საკდესის კორ. ვიაჩესლავ ჩერნეშოვი გვაცხადებს: მომდინარე წლის შუა ხანებში დედამიწის მცხოვრებთა რიცხვი 5 მილიარდს გადააჭარბებს. ამ პროგნოზს შეიცავს მოსახლეობის საკითხებზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოხსენება, რომელიც პარასკევს გამოქვეყნდა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტები მოელიან, რომ პლანეტის მოსახლეობა უახლოე

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲐᲚᲐᲚᲘ ᲛᲗᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲓᲘᲓᲝᲛᲝᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲨᲢᲐᲑᲔᲑᲘ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲘᲔᲚᲔᲑᲔᲜ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲡ, ᲡᲐᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲢᲐᲜᲝᲗ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ: ᲛᲗᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒᲝᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ. ᲡᲐᲘᲠᲝᲜᲝ ᲛᲓᲒᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ ᲙᲐᲚᲐ�პᲝᲢᲨᲘ ᲓᲒᲔᲑᲐ.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ. სტიქია აქ თანდათან დაშოშმინდა. ეს ორი დღეა თოვამ გადაიღო, რამაც შესაძლებელი გახადა დაჩქარებულიყო აღდგენითი სამუშაოები, რომლებშიც პრაქტიკულად რაიონის ყველა ორგანიზაციაა ჩაბმული.

მთიელებს აქტიურად ეხმარებიან რესპუბლიკის მთელ რიგ უწყება-სამინისტროთა მუშაკები, მაგალითად, მათი ხელშეწყობით აღადგინეს ლენტეხის სატელეფონო კავშირი ახლომდებარე სოფლებთან, მოაგვარეს ელექტროენერგიის მიწოდება.

სწრაფად მიმდინარეობს საავტომობილო გზების ნამქერისაგან გაწმენდა. კერძოდ, უკვე გაიხსნა მოძრაობა ლენტეხ-ქუთაისის ტრასაზე. აქ დიდი მოცულობის სამუშაოები შეასრულეს ადგილობრივმა მებულდოზერეებმა გ. ჯანხოთელმა, გ. ტვილდიანმა და მათმა კოლეგებმა.

რაიონში ჩამოყალიბდა მაშველთა რაზმები. ერთი მათგანი, ცხრა კაცის შემადგენლობით, ვერტმფრინავით გაეშურა მთამსვლელთა ბანაკისაკენ თოვლის ხაფანგში მოყოლილი ბაზის მცველის საძებნელად.

ᲖᲣᲠᲐᲑᲘ. აქ გამუდმებით დადიან საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს ვერტმფრინავები, რომელსაც დაშორებული სოფლების მცხოვრებთათვის მიაქვთ პროდუქტები და მედიკამენტები, მაღალი მთის ფერმებისათვის — თივა, გასაჭირში ჩავარდნილი შინაური პირუტყვისა და ნადირის საკვები.

ახლა როკის გვირაბისა და დაბა კვაისისაკენ მიმავალი ტრასის გაწმენდის სამუშაოებში მოქმედებს ათი ტრაქტორი, ბულდოზერები.

ᲛᲔᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲙᲐᲚᲐᲞᲝᲢᲨᲘ ᲓᲒᲔᲑᲐ

ადგილობრივ ელექტრიკოსთა, აგრეთვე თბილისიდან და ცხინვალიდან ჩამოსულ სპეციალისტთა ძალისხმევის წყალობით აღდგენილია ელექტროენერგიის მიწოდება ჯავაში, ახლომდებარე სოფლებში. ახლახან მოვიდა შუქი ზორეულ წონის საბჭოთა მეურნეობაშიც. აქ მიმდინარეობს სამუშაობები თოვლის ზვავით დანგრეული მეცხოველეობის ფერმის აღსადგენად.

თბილისიდან ჩამოსული ჯანდაცვის მუშაკები დახმარებას უწევენ აგდილობრივ მოსახლეობას.

ᲝᲜᲘ. დიდთოვლობის შედეგებთან ბრძოლის სამუშაოებზე მობილიზებულია რაიონის ადამიანთა მთელი რესურსები. სატელეფონო კავშირი აღდგენილია რაიონის პრაქტიკულად ყველა დასახლებულ პუნქტთან. გაიხსნა საავტომობილო მოძრაობა ქუთაისამდე. იქიდან მოდის საშენი მასალები, საჭირო მოწყობილობა დაზიანებული შენობების აღსადგენად, კერძოდ, ონში — აგდილობრივი კოოპკავშირის საწყობის, სოფელ ქვედში ხე-ტყის საბერრი ქარხნისა და კლუბისათვის.

როგორც პარტიის რაიკომში გვაცნობეს, სტიქიასთან ბრძოლაში თავი გამოიჩინეს აგდილობრივმა ტრაქტორისტებმა გ. არაბულმა და ბ. მაისურაძემ, რომლებიც რამდენიმე დღის განმავლობაში წმენდნენ გზას დიდი ნამქერისაგან.

მარჯვედ არის ორგანიზებული აღდგენითი და სამაშველო სამუშაოები უწერის საბჭოთა მეურნეობაში. რაიონის მცხოვრებთ ძნელბედობის ჟამს აქტიური დახმარება გაუწიეს საავტომობილო გზათა, კავშირგაბმულობის სამინისტროების, ცეკავშირისა და საქმთავარინერგოს მუშაკებმა.

ᲪᲐᲒᲔᲠᲘ. რაიონში სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციისათვის მიღებული ოპერატიული ზომების მეობებით შესაძლებელი გახდა სწრაფად აღდგენილ ელექტროენერგია და სატელეფონო კავშირი მრავალ სოფელთან. ახლა ეს სამუშაოები მიმდინარეობს მაღალი მთის დასახლებული პუნქტების მიმართულებით. გზებზე თოვლის აღების სამუშაოებში ჩაბმული არიან რაიონის სპეციალიზებული სამმართველოების, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლები და მერემონტეები. რაიცენტრი უკვე დაუკავშირდა საავტომობილო მოძრაობით ახლომახლო სოფლებს, ახლა გზის მუშაკები ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევენ მაღალი მთის სოფლებისაკენ. ნამდვილი ვაჟკაცობის მაგალითს გვიჩვენებენ აგდილობრივი მექანიზატორები.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲘᲜᲕᲔᲠᲢᲣᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲕᲔᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ?!

ᲒᲣᲚᲐᲒᲓᲘᲚᲐᲓ უნდა ითქვას, რესპუბლიკაში ინერტული მასალების მშენებლობის მომარაგების საქმე ათეული წლების განმავლობაში მოუგვარებელი რჩება. თავიდანვე ამ საქმის გადაწყვეტას იოლი გზით — ზღვის სანაპიროდან ან მდინარეთა კალაპოტებიდან ბუნების მიერ გამზადებული ხრეშის მოპოვებით ეცდილობდით. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ყველამ იცის, რა უჯდება სახელმწიფოს ამგვარი წუთიერი ეკონომია, მაინც, მალულად თუ „გამონაკლისის“ სახით, სამშენებლო ორგანიზაციები მდინარეული ხრეშის დამზადებას ამ გზით კვლავ განაგრძობენ.

აი, აფხაზეთში გამონაკლისის სახით პერიოდულად, „მშენებლობის გეგმის გადარჩენის“ მიზნით ორგანიზაციებს უგრძელდებათ მცირე მდინარეებიდან ხრეშის მოპოვების „დროებითი“ ნებართვები. ამ მდინარეებს ყოველწლიურად თავის კალაპოტისა და ზღვის სანაპიროების ფორმირებისათვის ტარაწიტად მიაქვთ 5-20 ათასი კუბური მეტრი ხრეში, მშენებლებს კი 10-ჯერ მეტი გააქვთ. ამ ვითარებაში ნათლად ჩანს ზღვისა და მდინარის სანაპიროს გასწვრივ მიწების ეროზიის მასშტაბები და მათი გამომწვევი მიზეზები.

აღსანიშნავია ისიც, რომ სანაპირო ტერიტორიების აღდგენისათვის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვისსაპირდაცვის“ მშენებლების მიერ შეტანილი ყოველი კუბური მეტრი ხრეში სამუალოდ 5,36 მანეთი ჯდება, ხოლო მისი გატანა თითქმის მუქთაა. ჩვენ სრულიადაც არ მოვითხოვთ ყველაფრის ბრმად აკრძალვას — მდინარეებიდან და ზღვის სანაპიროდანაც ზოგჯერ ბედმეტი ხრეშის მოპოვება შეიძლება ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებაც კი იყოს, მაგრამ ეს შესაძლებლობა როგორც დრო, ისე სივრცეში ცვალებადია და ამიტომ საჭიროა სანაპიროს ბუნებრივ გარემოში რაოდენობითი ცვლილებების სისტემატური რეგისტრაცია კეთდეს, რათა დროულად მივიღოთ ზომები თვისობრივობაში გადასვლის გამოსარიცხად.

აღნიშნული მიზნით ხრეშის მოპოვებასაც თავისი პერიოდი აქვს, რაც ზღვიდან მდინარეში თევზის სვლას და ტოფობას უკავშირდება. მაშასადამე, მდინარეებში და ზღვის სანაპიროზე ხრეშის მოპოვება შეიძლება ისე, როგორც, ვთქვათ, ტყეებში სანიტარიული, ანუ მოვლითი ჭრა. მაგრამ არავითარ შემთხვევაში მას არ უნდა მიეეცეს სამრეწველო ხასიათი, როგორც მაგალითად ჭოროხის, რიონისა და სხვა მდინარეების აუზში ხდება.

ცხადია, ხრეშის ამდაგვარი „მოვლითი“ მოპოვება უნდა აწარმოოს მხოლოდ იმ ორგანიზაციამ, რომელიც პასუხს აგებს წყალსაცავების სანაპიროების მდგრადობისათვის და არა სამშენებლო მასალების მრეწველობისათვის; მით უმეტეს, რომ მიღებული ხრეშის ნაწილი გამოყენებული უნდა იყოს ისევ ნაპირდაცვისათვის იქ, სადაც შეინიშნება მისი დეფიციტი. სამგიერად ხრეშის სამრეწველო მოპოვება წინასწარ განსაზღვრული ოღენობით შესაძლებელია და სასარგებლოც როგორც თვით ხელოვნურ წყალსაცავებში, ისე მათ ზედა ბიეფებში.

მაგალითად, გუმათის წყალსაცავი ამჟამად გავსებულია რიონის მყარი ჩამონადენით, რომლის მოცულობა სამ ათეულ მილიონ კუბურ მეტრს აღემატება, რასაც ნამახვანჭესის ამენებამდე ყოველწლიურად დაემატება 2 მილიონი კუბური მეტრი, საიდანაც 200-250 ათასი კუბური მეტრი მშენებლობისათვის დეფიციტური ქვიშა და რიყნარია. ერთი სიტყვით, გუმათის წყალსაცავის გაწმენდა — ეს არა მარტო ანტისანტარიის მოსაზრება ან ობიექტის ენერგოსისტემაში დაბრუნებაა, არამედ ნედლეულის დაზარისხების შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ დიდძალი ქვიშა მშენებლობისთვის და უფრო მეტი თიხურ-ლამური მასალა საკარგულების გასაჯანსაღებლად და მათი მოსავლიანობის გასაზრდელად. ცხადია, ამ ღონისძიების განხორციელებაში მშენებლების გარდა დაინტერესებულნი, ისე იგი წილობრივი მონაწილენი იქნებიან „საქენერგო“, აგრომრეწვი, ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი, ნაპირდაცვა, სანეიდსამსახური და სხვ.

ანალოგიური შესაძლებლობანი (ოღონდ სხვა ვარიაციებით) არსებობს რესპუბლიკის სხვა წყალსაცავების ზონებშიც, სადაც ინერტული მასალის მოპოვება დიდად გაახანგრძლივებდა ამ წყალსაცავების არსებობას და ხელს შეუწყობდა ენერგეტიკის ბაზის გაფართოებას.

ამ ბოლო ხანებში ინერტული მასალების ბაზაზე ბეტონის ნაკეთობათა ქარხნების ფუძემდებლურ ინვესტიციებს ადგილობრივ ბიუჯეტებიდან ეხმიანებიან ბანკები, ეკონომიკურ ეფექტიანობაზე ორიენტირებული ინვესტიციებ-ბანკებიც. ეს ინვესტიციები ინერტული მასალების ბაზაზე ბეტონის ნაკეთობათა ქარხნების ფუძემდებლურ